

# სარჩევი

შ შ V I	1
Iშ I ღთ ძ Iშ შ ძღVღ	6
საქართველოს შიდა კანონმდებლობა	7
შ ღთV შ V I I Iშ თ შ ღთ შ ღIშ შ ღთ Iშ შთ ღთ Iშ თ X	8
2006 წლის აგვისტო: გაეროს ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის (CEDAW) დასკვნითი დაკვირვებები	9
შ ღთV შI Iშ I ღთ ჟ X ღI ძ Iშ ძ I I	12
პრობლემის მასშტაბი	12
ოჯახური ძალადობის ტიპები და მისი სოციალური კონტექსტი საცოლის მოტაცება	15 17
რა უშლის ხელს ძალადობის მანკიერი წრის დარღვევას	17
ოჯახური ძალადობა, როგორც "ოჯახის საქმე"	17
პოლიციის რეაგირება	20
ჯანდაცვის სისტემა	23
თავშესაფრების საჭიროება	25
მობილური წესად ქცეული დაუსჯელობა	27
სამოქალაქო სამართალწარმოება	32
პრობლემის გრძელვადიანი მოგვარების შესაძლებლობების უკმარობა	34
ღ შI I	37



# საქართველო: ათასობით მღუმარე მსხვერპლი. ოჯახური ძალადობა ქალების მიმართ.

## შესავალი

### “თითქოს ეს წლები ციხეში გამეტარებინოს”

ნინო<sup>1</sup> 17 წლის იყო, როცა გათხოვდა. ქორწილის შემდეგ ქმარმა ნინო აიძულა თავი დაენებებინა მუსიკალური სკოლისათვის, სადაც ის ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა. მეგობრებთან შეხვედრაც აუკრძალა. როდესაც ოჯახს ფინანსური პრობლემები შეექმნა, მეუღლემ ნინოს ვიოლინო გაუყიდა. "მუდმივად მირეკავდა და მამოწმებდა, სახლში თუ ვიყავი. ამავე დროს, თავის თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა: ყოველთვის ახალი საყვარელი ყავდა," უამბობდა ნინო საერთაშორისო ამნისტიას. მისი ნაამბობის თანახმად, ქმარი არასოდეს აძლევდა ფულს. "ჩვენთვის საჭმელს კი ყიდულობდა, მაგრამ ავიწყდებოდა, რომ ტანსაცმელიც გვჭირდებოდა. ამ მხრივ ჩემი მშობლები გვეხმარებოდნენ", ამბობს ნინო. მან საერთაშორისო ამნისტიას მოუთხრო, თუ როგორ ხშირად სცემდა მას ქმარი, ხოლო როდესაც სამუშაო დაკარგა და სმა დაიწყო, ცოლის ცემას უმატა. ნინოს თქმით, როდესაც ის მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ, ქმარმა მას მუცელში ჩაარტყა. თან დაამატა, რომ ეს ბავშვი მას არ უნდოდა და თუკი ბავშვი ბიჭი არ იქნებოდა, საყვარელთან გადავიდოდა საცხოვრებლად. თუმცა, ბიჭის დაბადების შემდეგაც ცემა არ შეწყვეტილა. ცემის შედეგად ნინო ორჯერ წაიყვანეს საავადმყოფოში. როდესაც საავადმყოფოში ჰკითხეს, თუ საიდან ჰქონდა დაღურჯებები და რატომ დაკარგა გონება, ნინომ უპასუხა, რომ ეს შემთხვევით მოუვიდა. ნინო არასოდეს დაკავშირებია პოლიციას, რადგან ეშინოდა, რომ ეს ქმრის აგრესიას გააძლიერებდა და მას მოკლავდა. როდესაც ნინომ ქმარს განუცხადა, რომ შვილების აღზრდას გააგრძელებდა, მაგრამ მასთან სქესობრივი კავშირი აღარ სურდა, ქმარმა ცოლის სისტემატიური გაუპატიურება დაიწყო. ნინო გამოსავალს ვერ ხედავდა. "ვლოცულობდი, სხვაგან გადასულიყ. ჩვენ მის ბინაში ვცხოვრობდით, ამიტომ მე ვერსად წავიდოდი. მე და ჩემი შვილები ქუჩაში აღმოვჩნდებოდით." როდესაც მესამე ბავშვს ელოდებოდა, ნინომ მშობლებს სთხოვა, რომ მათთან გადასულიყო. მშობლებმა საპასუხოდ სთხოვეს, გაეძლო ამ მდგომარეობისათვის, რადგან მისი და ბავშვების რჩენა არ შეეძლოთ. "ცემისაგან მუდმივად მაწუხებდა თავისტიკილი და სულ დაღურჯებული ვიყავი. ბავშვებს რომ არ ეშველათ, ალბათ მომკლავდა", იხსენებს ნინო. 20 წლის ერთად ცხოვრების შემდეგ ნინოს მეუღლე საყვარელთან გადავიდა საცხოვრებლად. "რომ წავიდა, თავი ისევ ქალად, კვლავ ადამიანად ვიგრძენი. საოცარი თავისუფლების შეგრძნება მქონდა იმის მიუხედავად, რომ ბავშვების გამოსაკვები ფულიც კი არ მქონდა", ამბობდა ნინო. მოგვიანებით მან შეიტყო, რომ მისი ყოფილი ქმარი ახლა ამ ქალსაც სცემს.

<sup>1</sup> ნამდვილი სახელი შეცვლილია.

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც, ათასობით ქალი არის სისტემატური ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. მათ სცემენ, აუპატიურებენ და ზოგიერთ შემთხვევაში კლავენ კიდევ. გაცილებით მეტს უხდება ფსიქოლოგიური ძალადობასა და ეკონომიურ კონტროლის ატანა.

საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისადმი (CEDAW) წარდგენილი ბოლო ანგარიშის მიხედვით, "ოჯახური ძალადობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული პრობლემაა".<sup>2</sup> ქალების გარდა, ხშირად, ძალადობის მსხვერპლი ოჯახის სხვა წევრებიც ხდებიან, მაგალითად მოხუცები და ბავშვები. თუმცა საქართველოს მთავრობის ამ დოკუმენტში აღიარებს ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას, დოკუმენტი ძირითადად ეხება ქალების მიმართ ქმრებისა და სხვა ინტიმური პარტნიორების, ან ყოფილი პარტნიორების მიერ ძალადობას, რომელიც უფრო ხშირად ოჯახური ძალადობის ან ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის სახელით იხსენიება.

სხვა საკითხებთან ერთად, საერთაშორისო ამნისტია შემოფოთებულია საქართველოში ოჯახურ ძალადობაში დამნაშავეთა საყოველთაო დაუსჯელობით; არასაკმარისია ოჯახური ძალადობის მსხვერპლებზე გამიზნული ღონისძიებები და სამსახურები, რაც მოიცავს დროებითი თავშესაფრების, ადექვატური და უსაფრთხო განთავსების შესაძლებლობებს; არ არსებობს ოჯახური ძალადობის შემთხვევებისას სხვადასხვა უწყებათა შორის (როგორცაა ჯანდაცვის მუშაკები, კრიზის-ცენტრები, იურიდიული დახმარების ცენტრები და სამართალდამცავი ორგანოები) ქმედითი ურთიერთ-მიმარვის სისტემა; არ არსებობს სავალდებულო სახელმწიფო საწვრთნელი პროგრამები პოლიციის, პროკურორების, მოსამართლეებისა და მედპერსონალისათვის; ასევე ჯერჯერობით ვერ ხერხდება საკვანძო უწყებების - სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოების - მიერ ოჯახური ძალადობის შემთხვევების სისტემატური დაფიქსირება, იმგვარი სანდო და ყოვლისმომცველი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, რომლებიც ასახავდა მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის არსებულ კავშირსა და მათ სქესს.

საერთაშორისო ამნისტია თვლის, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 მაისს მიღებული საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლათა დაცვისა და დახმარების შესახებ (კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ), რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად

<sup>2</sup> პასუხები მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშების ერთიან განხილვასთან დაკავშირებულ კითხვებზე. საქართველო. 2006 წლის 13 ივლისი. გაეროს დოკუმენტები. CEDAW/C/GEO/Q/3/Add.1, გვ. 7.

შეიქმნა, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია - სახელმწიფოს მიერ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ვალდებულების შესრულების მიმართულებით. კანონის განცხადებული მიზნები მოიცავს – “უზრუნველყოს თანამშრომლობა სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით” და “უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა”.<sup>3</sup> კანონი, პირველად საქართველოს კანონმდებლობის პრაქტიკაში, განმარტავს ოჯახურ ძალადობას. გარდა ამისა, კანი ქმნის დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაცემის იურიდიულ საფუძველს, და ხაზს უსვამს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის დროებითი თავშესაფრების, ხოლო მოძალადეთათვის სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსების აუცილებლობას.<sup>4</sup> კანონის თანახმად, მისი გამოქვეყნებიდან ოთხი თვის განმავლობაში მთავრობა დაამტკიცებს სპეციალურ გეგმას, რომლითაც განისაზღვრება კანონის ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო ზომები და ღონისძიებები. ამ კონტექსტში, ანგარიშის მომზადების დროისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი თანამონაწილეობით მუშავდებოდა “ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებათა 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმის” სამუშაო ვარიანტი. ეს ტექსტი, რომელიც ერთერთმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ

<sup>3</sup> მუხლი 2. კანონზე მუშაობისას საერთაშორისო ამნისტიამ გამოიყენა არაოფიციალური თარგმანი, რადგან ამ ბრიფინგის მომზადების დროისთვის კანონმდებლობის ოფიციალური თარგმანი არ იყო ხელმისაწვდომი.

<sup>4</sup> თუმცა საერთაშორისო ამნისტია მიესალმება საერაბილიტაციო ცენტრების გახსნის მცდელობას, აუცილებელია ასეთმა ცენტრებმა იმოქმედონ მკაფიო წესდების საფუძველზე, რომელიც შეთანხმებული იქნება მსხვერპლებთან და სქესობრივი ძალადობის საკითხებზე ადვოკატორების სფეროში ჩართულ მხარეებთან, მათი მუშაობა კი რეგულარული მონიტორინგის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რადგან ამ დროისათვის არ არის სანდოდ დადასტურებული, რომ დამნაშავეებთან მომუშავე პროგრამები მათ ქცევაში მუდმივ ცვლილებას აღწევენ. სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო ცენტრმა არ უნდა შეცვალოს სისხლის სამართლის ფარგლებში დადებული სასჯელი. ამგვარი ცენტრები ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის უფრო ფართო სამოქმედო პროგრამის ნაწილი უნდა შეადგენდნენ, და უნდა სთავაზობდნენ ისეთ მომსახურებას, რომელიც არ შეუწყობს ხელს ძალადობას, დაეხმარება ცვლილებას და პასუხს აგებინებს მოძალადეს თავის საქციელისათვის. ძალადობა არ უნდა იყოს მარტივად აღქმული, როგორც მხოლოდ აღკოპოლიზმის ან სხვა ხელშემწყობი გარემოების მიერ გამოწვეული ქმედება, არამედ როგორც ძალადობრივი და მაკონტროლებელი ქცევითი სისტემა, რომლის შეკავებაც უნდა ისწავლოს მოძალადემ. ქალები არ უნდა აგებდნენ პასუხს მათი პარტნიორების მიერ ძალადობის გამოვლინების გამო, არ შეიძლება მათი იძულება მიიღონ მონაწილეობა შესარიგებელ შეხვედრებში მოძალადეებთან და ისინი არ უნდა განიცდიდნენ ზეწოლას ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით.

მიაწოდა საერთაშორისო ამნისტიას, აკონკრეტებს, თუ რომელი დაინტერესებული მხარეები - მათ შორის სამთავრობო უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები, იქნებიან პასუხისმგებელი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სტრატეგიების აღსრულებაზე, მოამზადებენ დამატებით საკანონმდებლო ბაზას, და შეაფასებენ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს.

ბევრი იქნება დამოკიდებული კანონისა და ““ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებათა 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმის”” შესრულებაზე. საერთაშორისო ამნისტია გეგმავს ამ პროცესის მონიტორინგს. მიღებული კანონის ერთერთი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა ის მსხვერპლთათვის დროებითი თავშესაფრების დაარსებას ითვალისწინებს, ამ მიხედვით ძალაში შესვლა 2008 წლისთვის არის გადადებული.<sup>5</sup>

2006 წლის თებერვალში პარლამენტის მიერ კანონის პირველი მოსმენის დროს გამართულ დებატებში, რაც ტელევიზიით გადაიდა, ბევრმა პარლამენტარმა დაცინვისა და ხუმრობის საგნად აქცია ოჯახური ძალადობის საკითხი და შესაბამისი კანონი. მათი საქციელიდან ცხადი გახდა, რომ ქალების მიმართ დისკრიმინაცია კვლავ ღრმადაა გამჯდარი საზოგადოებაში. საერთაშორისო ამნისტია ასევე შემოფოტებულია იმით, რომ წარსულში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო პროგრამების, - როგორცაა ““ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებათა 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმა”” და საქართველოს მიერ გაეროს ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ პერიოდული ანგარიშის განხილვის შემდეგ 1999 წლის ივლისში CEDAW-ის მიერ წარმოდგენილი დასკვნითი რეკომენდაციები, - შესრულება სერიოზული ხარვეზებით წარიმართა.<sup>6</sup> მაგალითად, ჯერაც არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დანაშაულებრივად გამოაცხადებს ქორწინებაში ჩადენილ გაუპატიურებას; სახელმწიფოს არ მოუშადავია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და უწყებებისათვის ოჯახური ძალადობის სფეროში რეგულარული და საფუძვლიანი წვრთნის სისტემა; სახელმწიფო მოხელეების მიერ არ შეუგროვებულა სრული სტატისტიკური ინფორმაცია ოჯახური ძალადობის შესახებ.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ისეთი სისტემის დასაანერგავად, რომელიც უზრუნველყოფს ქალების დაცვას და მიმართული იქნება ოჯახური ძალადობის აღკვეთისკენ, აუცილებელია ძლიერი პოლიტიკური ნება და ხელისუფლების მიერ შეთანხმებული მოქმედებები. ამ სფეროში საქართველოს

<sup>5</sup> მოძალადეთათვის სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნაც 2008 წლამდეა გადავადებული.

<sup>6</sup> ეროვნული სამოქმედო გეგმის ვადა თავდაპირველად 2002 წელს იწურებოდა, თუმცა, 2003 წლის იანვარში, პრეზიდენტის განკარგულებით ის 2005 წლამდე გაგრძელდა.

მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება უნდა იქცეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მთავრობის ერთერთ პრიორიტეტად. საერთაშორისო პრინციპების განხორციელების სტრატეგიების შემუშავებისას და მათი საქართველოს კონტექსტისათვის მორგებისას აუცილებელია საქართველოს მთავრობის თანამშრომლობა ოჯახური ძალადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სადღეისოდ, საქართველოში ოჯახური ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად საქმიანობას არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, რომლებიც სახელმწიფოსაგან პრაქტიკულად არანაირ ფინანსურ ან სხვა სახის მატერიალურ დახმარებას არ იღებენ. მათი საქმიანობა მოიცავს იურიდიულ დახმარებას, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ და სხვა სახის მხარდაჭერას; შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ დისკუსიების წამოწყებასა და მათში მონაწილეობას; სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა და სამედიცინო პერსონალისათვის ოჯახური ძალადობის შესახებ საწვრთნელი კურსების ჩატარებას, აგრეთვე ამ პრობლემის გარშემო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, წინამდებარე ანგარიშში მოხსენიებულ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალთა სახელები შეცვლილია. ასევე შეცვლილია ყველა ისეთი დეტალი, რამაც შეიძლება მათი ამოცნობა გააადვილოს. ერთადერთი გამონაკლისს წარმოადგენს საქმე, სადაც ქალის ქმარი გარდაიცვალა. იმის გამო, რომ უსაფრთხო და ხელმისაწვდომი თავშესაფარი არ არსებობს, ხოლო ქალებს არ აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად ირჩინონ თავი, ანგარიშში მოხსენიებული რამდენიმე ქალი აგრძელებს მოძალადე პარტნიორთან ცხოვრებას და მათი ვინაობის გამოვლენის შემთხვევაში ისინი შურისძიების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან. წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ნაწილობრივ მოპოვებულია 2006 წლის აპრილში საერთაშორისო ამნისტიის ფაქტების მომძიებელი ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან, ზოგი შემთხვევა კი მოწოდებულია შემდეგი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ: ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლი", ეროვნული ქსელი "ძალადობისაგან დაცვა", კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, და "საფარი".

საერთაშორისო ამნისტიას ესმის, რომ ძლიერი და ურთიერთმხარდაჭერი ოჯახური ურთიერთობები ქართული კულტურის ძირეულ ფასეულობას წარმოადგენს. წინამდებარე ანგარიშის მეშვეობით საერთაშორისო ამნისტიის მიერ განხორციელებული ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების

მცდელობას, დაეხმარონ ძალადობის ქვეშ მცხოვრებ მრავალ ქალს მიიღოს საზოგადოებისა და მთავრობის მხარდაჭერა, რასაც საბოლოო ჯამში უნდა მოჰყვეს ძალადობისაგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება. საქართველოში ოჯახურ ძალადობაზე ყურადღების გამახვილებით საერთაშორისო ამნისტიამ არ აცხადებს, რომ ქალების მიმართ ძალადობა საქართველოსათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, ან რომ საქართველოში ის უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მრავალი სახელმწიფოსადმი მიძღვნილ თავის ანგარიშებში საერთაშორისო ამნისტიამ დაასაბუთა – ევროპის ფარგლებში - ალბანეთში, საფრანგეთში, რუსეთში, ესპანეთში, შვედეთში, თურქეთსა და დიდ ბრიტანეთში – რომ ქმრებისა და პარტნიორების მხრიდან ქალების მიმართ ძალადობა ხორციელდება მიუხედავად მათი ცხოვრების ადგილისა, ან მათი სოციალური სტატუსისა.

ეს და სხვა ანგარიშები ნაწილია საერთაშორისო ამნისტიის კამპანიისა - "შეწყდეს ძალადობა ქალების მიმართ", რომელიც 2004 წლის მარტში წამოიწყო.<sup>7</sup> ეს გლობალური კამპანია ააშკარავებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარუმატებლობას თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და დასაჯონ ქალებზე ძალადობა. ხშირად ძალადობა განიხილება, როგორც ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობის ნორმა, ან ის გამართლებულად მიიჩნევა ეჭვიანობის, ღირსების დაცვის ან ტრადიციის საფუძველზე. საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ ვერცერთი ამ ფაქტორთაგანი, და ვერც რაიმე სხვა არგუმენტი, ვერ ამართლებს ქალების მიმართ ძალადობას. ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი ნორმები და სტანდარტები ხაზს უსვამს იმას, რომ ქალების მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა ყოველად დაუშვებელი დარღვევაა და ყოველი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ზომები ამგვარი ძალადობისაგან ქალების დასაცავად და დამნაშავეთა დასასჯელად.

## ქალების მიმართ ძალადობის განსაზღვრება

CEDAW-ის თანახმად, გენდერული ძალადობა ქალების მიმართ დისკრიმინაციულია, რადგან ის "მიმართულია ქალის მიმართ, სწორედ იმიტომ, რომ იგი ქალია" და "ის არაპროპორციულად მიმართულია ქალების წინააღმდეგ".<sup>8</sup>

ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გაეროს დეკლარაცია ქალების მიმართ ძალადობას განსაზღვრავს, როგორც "გენდერული ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომლის შედეგი არის ან შეიძლება იყოს ქალის

<sup>7</sup> იხილეთ: Amnesty International, *It's in our hands – Stop violence against women*, March 2004 (AI Index: ACT 77/001/2004)

<sup>8</sup> ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია 19, ძალადობა ქალების მიმართ (მეთერთმეტე სესია 1992), ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ორგანოთა ზოგადი კომენტარებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული, გაეროს დოკუმენტები HRI\GEN\1\Rev.1 at 84 (1994), აბზაცი. 6.



ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა, მათ შორის ასეთი ქცევის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში" (მუხლი 1).<sup>9</sup> ამ განსაზღვრების უკანასკნელი ინტერპრეტაცია ასევე მოიცავს "მსხვერპლის მიმართ ეკონომიური მოთხოვნილებების განზრახ დაუკმაყოფილებლობას".<sup>10</sup>

დეკლარაციის პრეამბულაში ქალის მიმართ ძალადობა აღწერილია, როგორც "ქალსა და მამაკაცს შორის ისტორიულად არათანაბარი ძალაუფლებითი ურთიერთობების გამოვლენა" და როგორც ერთერთი "საკვანძო სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი ხდებიან დაექვემდებარონ მამაკაცებს."

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობას განსაზღვრავს, როგორც ინტიმურ ურთიერთობების ფარგლებში ნებისმიერ ქცევას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სქესობრივ ზიანს, მათ შორის:

- ფიზიკური აგრესიის აქტს, როგორცაა სილის გაწნა, დარტყმა, ხელითა და ფეხით ცემა;
- ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორცაა დაცინვა და მუდმივი დამცირება და შეურაცხყოფა;
- ძალდატანებითი სქესობრივი კავშირი და სხვა სქესობრივი ძალადობა;
- სხვადასხვა მაკონტროლებელი ქცევა, როგორცაა პიროვნების ოჯახისა და მეგობრებისაგან იზოლაცია, მისი გადაადგილების გაკონტროლება, ინფორმაციისა ან დახმარების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.<sup>11</sup>

### საქართველოს შიდა კანონმდებლობა

2006 წლის 25 მაისს მიღებული ოჯახური ძალადობის კანონის მესამე მუხლი ოჯახურ ძალადობას განმარტავს შემდეგნაირად "ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სქესობრივ ძალადობით ან იძულებით." საერთაშორისო ამნისტია მიესალმება ამ კანონის მიზნებისათვის ოჯახის წევრის ფართო განსაზღვრებას. კანონის მე-4-ე მუხლის ("ზ" პუნქტის) თანახმად,

<sup>9</sup> გენ. ასამბლეის რეზოლუცია. 48/104, 48 U.N. GAOR Supp. (No. 49) at 217, გაეროს დოკუმენტები. A/48/49 (1993).

<sup>10</sup> რადიკა კუმარასუამი, ქალების მიმართ ძალადობის სპეციალური მომხსენებელი, ანგარიში ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის. გაეროს დოკუმენტები E/CN.4/2003/75, 6 იანვარი 2003, აბზ. 30.

<sup>11</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ანგარიში მსოფლიოში ძალადობასა და ჯანდაცვაზე, *ჟენევა*, 2002.

"ოჯახის წევრი – ამ კანონის მიზნებისთვის დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიძღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე." მე-4-ე მუხლი ძალადობის სხვადასხვა ტიპს შემდეგნაირად განმარტავს:

- "ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მომედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნების დაუკმაყოფილება, რაც იწვევს ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს"
- "ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას".
- "სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ".
- "ეკონომიური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარებისთვის სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას".
- "იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებებია, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავის ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება".

## საქართველოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და სტანდარტების თანახმად

ოჯახური ძალადობა შემაშფოთებლად ზღუდავს ადამიანის ბევრ ისეთ უფლებას, როგორებიცაა - გონებრივი და ფიზიკური სიჯანსაღის უფლება, პიროვნული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ჯანმრთელობის უფლება და ზოგჯერ სიცოცხლის უფლებასაც კი. როგორც CEDAW-მა განმარტა თავის ზოგად რეკომენდაციაში №19, გენდერული ძალადობა, მათ

შორის ოჯახური ძალადობა ქალების მიმართ, დისკრიმინაციის ერთერთ ფორმას წარმოადგენს.<sup>12</sup>

საქართველო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეა. ეს ხელშეკრულებები ავალდებულებენ თვითოეულ სახელმწიფოს დაიცვას, პატივი სცეს და აღასრულოს მის ტერიტორიაზე და მის იურისდიქციის ქვეშ მცხოვრებ პირთა უფლებები.<sup>13</sup> ამგვარად, საქართველო საერთაშორისო სამართლის თანახმად ვალდებულია მიზანდასახულად იმოქმედოს, რათა აღკვეთოს და საჭიროებისამებრ გამოიძიოს ქალების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტები, პასუხი აგებინოს დამნაშავეებს, და უზრუნველყოს მსხვერპლთა დაცვა და ზარალის კომპენსაცია (რეპარაცია).<sup>14</sup>

ყოველივე ეს ავალდებულებს სახელმწიფოს განახარციელოს ღონისძიებათა რიგი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალებს თავი დააღწიონ ძალადობრივ ურთიერთობებს. ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აღკვეთის დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თავშესაფრები, ცხელი ხაზების ფუნქციონირება, და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და საჯარო პირების შესაბამისი გაწვრთნა.

### **2006 წლის აგვისტო: გაეროს ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის (CEDAW) დასკვნითი დაკვირვებები**

საქართველო, როგორც ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის გაეროს კონვენციის წევრი-სახელმწიფო, ვალდებულია მოიყვანოს თავისი კანონმდებლობა და სამართლებრივი პრაქტიკა კონვენციის მუხლებთან შესაბამისობაში. ეს სხვათა საკითხთა შორის გულისხმობს ქალებისათვის კონვენციით გარანტირებული მთელ რიგ სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებების უზრუნველყოფას.

<sup>12</sup> ქალთა კონვენციის მუხლი 2 (ბ) ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს "შიიღონ აუცილებელი სამართლებრივი და სხვა ზომები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სანქციები, რომლებიც აკრძალავს ქალების მიმართ ყოველნაირ დისკრიმინაციას".

<sup>13</sup> შესაბამისი ხელშეკრულებები მოიცავს: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს (ICCPR); კონვენციას ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ; ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას (ECHR) თავის პროტოკოლებითურთ.

<sup>14</sup> გაეროს დეკლარაციას ქალების მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/104, მუხლი 4 (დ), გაეროს დოკუმენტები A/48/49 (1993).

სახელმწიფოები, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, ვალდებულნი არიან ოთხ წელიწადში ერთხელ კომიტეტს წარუდგინონ ანგარიში კონვენციის შესრულების თაობაზე. საქართველომ მეორე და მესამე გაერთიანებული ანგარიში 2004 წელს წარადგინა.

2006 წლის 15 აგვისტოს CEDAW-მა განიხილა საქართველოს სამთავრობო ანგარიში და აგვისტოს ბოლოს კი გამოაქვეყნა თავისი დასკვნითი დაკვირვებები.<sup>15</sup> ოჯახური ძალადობის კანონის მიღების მხარდაჭერასთან ერთად, კომიტეტმა გააკრიტიკა კანონის მიერ გათვალისწინებული თავშესაფრებისა და მოძალადეთათვის სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსების გადავადება. CEDAW-მა ასევე გამოთქვა შემოფოტება "ოჯახური ძალადობის შესახებ სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის უკმარისობის გამო, და ასევე - რომ ამგვარი ძალადობა შეიძლება კვლავ პირად საქმედ ითვლებოდეს". დამატებით, კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს, "დაასრულოს და დროულად განახორციელოს ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა." კომიტეტმა ასევე გამოთქვა რეკომენდაცია "შეიქმნას მულტიმომქმედი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს ქალების მიმართ დისკრიმინაციის სპეციფიკურობას და იქნება პასუხისმგებელი მხოლოდ ქალებისა და მამაკაცების ფორმალური და რეალური თანასწორობის მიღწევაზე, ასევე მონიტორინგს გაუწევს ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას." ამგვარ მექანიზმს უნდა გააჩნდეს "აუცილებელი ავტორიტეტი და პრეროგატივები, ასევე ადამიანური და ფინანსური რესურსები".

ზემოაღნიშნულის გარდა, კომიტეტის რჩევაა, მნიშვნელოვნად გაძლიერდეს სახელმწიფოს ღონისძიებები ოჯახური ძალადობის საკითხზე ადექვატური რეაგირებისათვის შემდეგ სფეროებში: ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა; ინფორმაციის შეგროვება, კვლევა და მიღებული ზომების შეფასება; ტრენინგი; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

#### დამცავი და შემაკავებელი ორდერები

##### ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა:

- "უზრუნველყოფილ იქნას, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ყველა ქალს, მათ შორის სოფლის რაიონებში, ხელი მიუწვდებოდეს დაცვის დაუყოვნებელ საშუალებებზე, მათ შორის, დამცავ ორდერებზე, ასევე საკმარისი რაოდენობით უსაფრთხო თავშესაფრებსა და იურიდიულ დახმარებაზე"; (მუხლი. 20)

- "ყურადღება მიექცეს [...]ქორწინებაში გაუპატიურების პრობლემის მოგვარებას"; (მუხლი. 20)

##### ინფორმაციის შეგროვება, კვლევა და შეფასება:

<sup>15</sup> ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის გაეროს კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები: საქართველო, 2006 წლის 25 აგვისტო. გაეროს დოკუმენტი CEDAW/C/GEO/CO/3.

- “გააუმჯობესოს ინფორმაციის შეგროვება კონვენციით მოცულ ყველა სფეროში, რომელიც განაწილებული იქნება სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, ქალაქისა თუ სოფლის დასახლების მიხედვით”; (მუხლი 10)

- “ჩატარდეს ოჯახური ძალადობის სისშირის, მიზეზებისა და შედეგების კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედება ყოვლისმომცველ და მიზნობრივ ინტერვენციას და [...] ამ კვლევის შედეგები შეტანილ იქნას შემდეგ პერიოდულ ანგარიშში.”; (მუხლი 20)

- “გაზომადი ინდიკატორების განსაზღვრის მეშვეობით ჩატარდეს კანონმდებლობის, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების გავლენის მონიტორინგი, რათა შეფასდეს ქალების დე-ფაქტო თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე მიღწეული პროგრესი.” (მუხლი 10)

#### ტრენინგი:

- “უზრუნველყოფილ იქნას საჯარო მოხელეთა, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა, ჯანდაცვის სფეროს მოხელეთა და სოციალურ მუშაკთა შესაბამის კანონმდებლობაში სრულად გათვითცნობიერება, მათი მგრძობელობის ამაღლება ქალების მიმართ ჩადენილი ყველა სახის ძალადობისადმი, რომ მათ შეძლონ ამგვარ შემთხვევებზე ადექვატური რეაგირება”; (მუხლი 20)

- “განხორციელდეს პროგრამები პროკურორებისათვის, მოსამართლეებისთვის, სახალხო დამცველებისათვის და იურისტებისათვის, რომლებიც მოიცავენ კონვენციისა და არჩევითი პროტოკოლის ყველა აქტუალურ ასპექტს”; (მუხლი 14)

#### საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება:

- “პრიორიტეტი მიენიჭოს [ოჯახური ძალადობის] კანონის შესრულებას და [...] იგი ფართოდ გახდეს ცნობილი საჯარო მოხელეთათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის”; (მუხლი 20)

- “[გადაიდგას ნაბიჯები] *qalebis* ცნობიერების მდგრადი ამაღლებისა და მათთვის სამართლებრივი განათლების სფეროში ტრენინგის კამპანიების წარსამართავად, მათ შორის სოფელში მაცხოვრებელი ქალებისა და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის”; (მუხლი 14)

- “გაგრძელდეს [...] გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისაკენ მიმართული ძალისხმევა და [...] გაძლიერდეს სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული პერსპექტივის წარმოჩენა”; (მუხლი 18)

- “მიღებულ იქნას დამატებითი ზომები კონვენციის, არჩევითი პროტოკოლით გათვალისწინებული პროცედურებისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის.” (მუხლი 14).

## საქართველოში ქალების მიმართ ოჯახური ძალადობის განზომილებები

### პრობლემის მასშტაბი

საქართველოში ამ პრობლემის სრული მასშტაბი უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ - როგორც საქართველოს მიერ CEDAW-ისთვის წარდგენილი 2004 წლის მაისის ანგარიში მიუთითებს, - 1999 წლის პრეზიდენტის განკარგულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას დაეკალა "ქალების მიმართ ძალადობის ყველა ფაქტის" შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, ასევე "ოჯახური ძალადობის ფაქტების რეგისტრაციის [ . . . ] უზრუნველყოფა"<sup>16</sup> - ხელისუფლებას არ შეუვროვებია საფუძვლიანი სტატისტიკური მონაცემები ოჯახური ძალადობის შეთხვევების შესახებ, მითუმეტეს - სქესის მიხედვით განაწილებული, ანდა მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობის ამსახველი.

ოჯახური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლ ქალთაგან მცირედი ნაწილი თუ მიმართავს პოლიციეს (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი "პოლიციის რეაგირება"). საპატრულო პოლიციის მიერ შეგროვილი სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ მთელ ტერიტორიას მოიცავს, 2005 წელს ოჯახური ძალადობასთან დაკავშირებით მათ დახმარებისათვის 3254-ჯერ მიმართეს.<sup>17</sup> 2006 წლის პირველ ორ თვეში პატრულმა დააფიქსირა 670 ამგვარი ზარი. არ არის ცნობილი, თუ რამდენი შემთხვევა ეხება ამათგან უშუალოდ ქალებს; ასევე არ არსებობს დამატებითი ინფორმაცია შემთხვევების ხასიათზე. როგორც ამბობენ, საპატრულო პოლიციაში შემოსული ღამის ზარებიდან უმეტესობა ოჯახურ ძალადობას ეხება.<sup>18</sup>

საქართველოში ჩატარდა რამდენიმე მასშტაბური რაოდენობრივი კვლევა ოჯახური ძალადობის მასშტაბების დასადგენად. მათ შორის ყველაზე მასშტაბური და სანდო კვლევებია: გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) 1999 და 2000 წლის ორი რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა (RHS); ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასიის ქალთა კვლევითი და

<sup>16</sup> საქართველოს, როგორც CEDAW-ის წევრ სახელმწიფოს, გაერთიანებული მეორე და მესამე პერიოდული ანგარიში, CEDAW/C/GEO/2-3, მუხლი 9.

<sup>17</sup> საერთაშორისო ამნისტიას ეს ინფორმაცია მიაწოდა სახალხო დამცველის ოფისის ქალთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსმა თამარ რომელაშვილმა, 2006 წლის 12 აპრილს. პოლიციის პატრული, როგორც წესი, პირველი საკონტაქტო უწყებაა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის, თუკი ისინი პოლიციასთან დაკავშირებას გადაწყვიტავენ.

<sup>18</sup> ელექტრონული ფოსტით მიმოწერა გიორგი თარხან-მოურავთან, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2006 წლის 19 მაისი.

საკონსულტაციო ქსელის” კვლევა სათაურით, *ოჯახური ძალადობა ქალზე - მრავალკომპონენტური კვლევა*, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა.<sup>19</sup>

1999 და 2005 წლის ორივე კვლევის მიხედვით, გამოკითხულ ქალთა 5% განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას იმჟამინდელი ან ყოფილი მეუღლის მხრიდან.<sup>20</sup> კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელის კვლევის თანახმად, ქალების 5,2 პროცენტმა უპასუხა, რომ განიცდიდა ხშირ ფიზიკურ ძალადობას პარტნიორის მხრიდან.<sup>21</sup> რეპროდუქციული ჯანმრთელობის ორივე კვლევის თანახმად, ქალების ორმა პროცენტმა განაცხადა, რომ გამოეცადათ სქესობრივი ძალადობა ცხოვრების რომელიმე მონაკვეთში, ხოლო ერთმა პროცენტმა განაცხადა რომ ეს ბოლო 12 თვის მანძილზე მოხდა. კავკასიის ქალთა კვლევისა და კონსულტაციის ქსელის თანახმად, გამოკითხულ ქალთა 25,5 პროცენტმა განაცხადა, რომ მათმა *"ქმარმა აიძულა [ისინი] დაემყარებინათ [მათთან] [. . .] სქესობრივი კავშირი, როდესაც [ისინი] ამისათვის მზად არ იყვნენ."*<sup>22</sup> ოთხმა პროცენტმა განაცხადა, რომ ეს ხშირად ხდებოდა.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის ორივე კვლევამ და კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელის კვლევამაც დაადგინა, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და რეგიონების ქალების მოწოდებული მონაცემებით შეინიშნება ცვალებადობა ძალადობის სიხშირისა და ტიპის მიხედვით. ამასთანავე კვლევები ნათლად აჩვენებენ, რომ ოჯახური ძალადობა არ არის მხოლოდ საზოგადოების ერთი ჯგუფის, რაიონის ან ასაკის პრობლემა.

2003 წელს აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა (CDC) გამოაქვეყნეს შედარებითი კვლევის შედეგები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შერჩეულ ნაწილს ეხებოდა. ამ

<sup>19</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA): *1999 საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა*, ატლანტა, 2005წ.; კავკასიის ქალთა კვლევისა და კონსულტაციის ქსელი. *ოჯახური ძალადობა ქალზე - მრავალკომპონენტური კვლევა*. 2006 წ. 1999 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა იყო საქართველოში ჩატარებული ამ ტიპის პირველი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. გამოკითხულ იქნა 15-დან 44 წლამდე ასაკის 7798 ქალი, მათ შორის 1655 - სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირი. რეპროდუქციული ჯანმრთელობის მეორე კვლევა 2005 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა. ეს კვლევები ფორმატითა და შინაარსით მსგავსი იყო, თუმცა 2005 წლის კვლევა არ მოიცავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცალკე ჯგუფს. კავკასიის ქალთა ქსელმა გამოკითხა 1000 ქალი საქართველოს მასშტაბით, რომლებსაც სულ მცირე ერთი წელი ეცხოვრათ მამაკაცთან ერთად. გამოკითხულთა შერჩევა შემთხვევითი წესით მოხდა. მეთოდისა და კითხვების სიტყვიერ ფორმაში განსხვავებების გამო, რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებსა და კავკასიის ქალთა ქსელის გამოკითხვის შედეგებს შორის ზოგიერთ საკითხში აღინიშნება განსხვავებები.

<sup>20</sup> რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა 2005. გვ. 37.

<sup>21</sup> კავკასიის ქალთა ქსელი 2005. გვ. 45.

<sup>22</sup> კავკასიის ქალთა ქსელი 2005. გვ. 55.

კვლევის თანახმად, ქალების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის სიხშირე საქართველოში უფრო დაბალი იყო, ვიდრე სხვა გამოკვლეულ ქვეყნებში – აზერბაიჯანში, მოლდოვაში, რუსეთში,<sup>23</sup> რუმინეთსა და უკრაინაში. კვლევის თანახმად, ეს დასკვნები "შეიძლება მიეწეროს განსხვავებებს კულტურულ განსაზღვრებებსა და აღქმაში, ან ქართველი ქალის ცხოვრებაში სანათესაოსა და მეგობრების განსაკუთრებით დიდ და ძლიერ როლს."<sup>24</sup> მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეედრება საქართველო სხვა ქვეყნებს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ამ ქვეყანაში მაინც ათობით ათას ქალია.

საერთაშორისო ამნისტიას იმედი აქვს, რომ ხელისუფლება შეასრულებს ბოლო დროს ნაკისრ ვალდებულებებს, რომელთა საგანია ხელი შეეწყოს ინფორმაციის შეგროვების სისტემის დროულად ჩამოყალიბებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეაგროვებას და მის უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებას. 2006 წლის მაისის კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ მე-6 მუხლში ამბობს, რომ "სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას." ჩამოთვლილ ზომათა შორის არის "შესაბამისი სტატისტიკის წარმოება". საქართველოს მიერ CEDAW-ისადმი 2006 წლის ივლისში წარდგენილი ანგარიშის თანახმად, ოჯახური ძალადობის კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს დაევალა ქალების მიმართ ძალადობის აღსაწერად "შეიმუშაოს სპეციალური მეთოდოლოგია მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავებისათვის".<sup>25</sup> "ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებათა 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმის" თანახმად, რომელიც საერთაშორისო ამნისტიისთვის ხელმისაწვდომი გახდა, სამართალდამცავი ორგანოები და ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეაგროვებენ და სტატისტიკის დეპარტამენტს გადასცემენ მონაცემებს ოჯახური ძალადობის შესახებ. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ 2006 წლის 24 აგვისტოს საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ "გარკვეული სტატისტიკური ინფორმაციის

<sup>23</sup> კვლევა მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ რუსეთის ქალაქებში იქნა მოპოვებული.

<sup>24</sup> დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები: *რეპროდუქციული, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა აღმოსავლეთ ევროპასა და ევრაზიაში: შედარებითი ანგარიში*, ატლანტა, 2003 წ. გვ. 214.

<sup>25</sup> პასუხები მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშების ერთიან განხილვასთან დაკავშირებულ კითხვებზე. საქართველო. 2006 წლის 13 ივლისი. გაეროს დოკუმენტები. CEDAW/C/GEO/Q/3/Add.1, გვ. 7.



ანალიზისას, საქართველოს გენერალური პროკურატურა გაითვალისწინებს ოჯახური ძალადობის ელემენტს."<sup>26</sup>

### **ოჯახური ძალადობის ტიპები და მისი სოციალური კონტექსტი**

საქართველოში ქალების მიმართ მათი პარტნიორების მხრიდან ძალადობის ტიპების ფართო სპექტრია წარმოდგენილი. იგი მოიცავს ეკონომიური სახსრების შეზღუდვას, სიტყვიერ და ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას, ფიზიკურ ძალადობას, სქესობრივ ძალადობას და მკვლელობასაც კი.<sup>27</sup> ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, რომლის შესახებაც საერთაშორისო ამნისტიამ შეიტყო, მოიცავს ანთებულ სიგარეტით დაწვას, ნივთების სროლას, თავით კედელზე მიტყმას, თმით თრევას, ხოლო ყველაზე ხშირად - ხელით ან წიხლით ცემას. როგორც წესი, ძალადობის სხვადასხვა ტიპი ურთიერთდაკავშირებულია ან ერთმანეთს მოსდევს. სქესობრივი ძალადობის შემთხვევები ჩვეულებრივ სხვა სახის ოჯახურ ძალადობას ან ძალადობის მუქარას მოიცავს. მაგალითად, როგორც ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარე ნატა შავლაყაძე მოგვითხრობს, ოჯახური ძალადობის ბევრ მსხვერპლს მისთვის უამბნია, თუ როგორ ქმრებმა მათ სქესობრივი კავშირი იარაღის მუქარით აიძულეს.<sup>28</sup>

იმ დაახლოებით 765 ადამიანიდან, რომელმაც 2000 წლიდან დღემდე არასამთავრობო ქალთა საკონსულტაციო ცენტრ "სახლს" ფსიქოსოციალური კონსულტაციისათვის მიაკითხა, თითქმის 60%-მა თავის ძირითად პრობლემად ოჯახური ძალადობა დაასახელა. ამ ადამიანთა უმრავლესობა უჩიოდა ფსიქოლოგიურ ძალადობას (62.4%), ხოლო 24.3% და 6.1% უჩიოდა შესაბამისად ფიზიკურ და სქესობრივ ძალადობას.<sup>29</sup> სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციის თანახმადაც, ფსიქოლოგიური ძალადობა ჭარბობს ფიზიკურ ძალადობას. ფსიქოლოგიური ოჯახური ძალადობის

<sup>26</sup> თამარ თომაშვილი. ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი. 2006 წლის 24 აგვისტო.

<sup>27</sup> ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის (ABA/CEELI), საქართველოს ოფისის სპონსორებით ჩატარებული კვლევის თანახმად, 1200 გამოკითხულთა 60 პროცენტმა იცოდა სულ მცირე ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც ძალადობის მსხვერპლის სიკვდილით დასრულდა. გამოკითხვები საქართველოში 2006 წლის მარტიდან მაისამდე ჩატარდა, და წინამდებარე ანგარიშის დაწერის დროისათვის კვლევის შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა. ეს ინფორმაცია მოწოდებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის საქართველოს ოფისის სისხლის სამართლის სფეროში საკონტაქტო თანამშრომელმა, მელისა მუდიმ (Melissa Moody), 2006 წლის 18 აგვისტოს.

<sup>28</sup> საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 13 აპრილი.

<sup>29</sup> დროის იგივე მონაკვეთში, არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა კონსულტაციის ცენტრმა "სახლი" გასცა მსგავსი იურიდიული კონსულტაცია, რომელთაგან ბევრი ეხებოდა ოჯახურ ძალადობას.

შესახებ განცხადებები, რომლების შესახებაც საერთაშორისო ამნისტიამ შეიტყო, მოიცავს ქმრების/პარტნიორების მიერ ქალებისათვის თანამიმდევრულ აკრძალვას - სახლიდან გავიდნენ, შეხვდნენ მეგობრებს და ნათესავებს, ისწავლონ ან იმუშაონ; ქალები აგრეთვე განიცდიდნენ მათ მუდმივ დაცინვას და დაკინებას. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ფსიქოლოგი მანანა სოლოდაშვილი აცხადებს, რომ მის პრაქტიკაში, ფსიქოლოგიური და ეკონომიური ძალადობა ხშირად შემდგომში ფიზიკურ ძალადობის საწინდარია.<sup>30</sup>

ოჯახური ძალადობის ფაქტები ხშირად სანათესაოს უფრო გავრცობილ კონტექსტშიც ხდება, როდესაც ნათესავები ერთ ოჯახად ცხოვრობენ. საქართველოში როგორც სოფლად, ისე (თუმცა ნაკლებად) ქალაქადაც, ხშირად ოჯახის სამი თაობა ერთად ცხოვრობს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობებით ოჯახური ძალადობა მიმართული შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრზე, მათ შორის მოხუცებსა და ბავშვებზეც. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ განსაკუთრებით გავრცობილი ოჯახის კონტექსტში ოჯახის სხვა წევრები ხშირად აქეზებენ ქმარს, "დასაჯოს" ცოლი "შეუფერებელი საქციელისათვის". ამჟამად არ გაგვაჩნია ინფორმაცია ერთი და იგივე სქესის წარმომადგენლებს შორის ძალადობის შესახებ.

საერთაშორისო ამნისტიამდე მოღწეულ ბევრ, თუმცა არა ყველა შემთხვევაში, ოჯახური ძალადობა თან სდევს ალკოჰოლიზმს ან ნარკომანიას. თუმცა მოძალადის ინტოქსიკაცია ხშირად თავად მის ან მისი ოჯახის სხვა წევრების მიერ ძალადობითი ქცევის გასამართლებელ საბუთად გამოიყენება, რაკი მოძალადე თითქოსდა ვერ აკონტროლებდა საკუთარ საქციელს. ამგვარ გამართლებას აბათილებს ის ფაქტი, რომ როგორც წესი იგივე ადამიანები ოჯახს გარეთ – გარეშე პირების მიმართ - ძალადობას არ ავლენენ. გარდა ამისა, ხშირად მოძალადეები თავიან პარტნიორებს ისეთ ადგილებში ურტყამენ, რომ დაღურჯებები სხვებმა ვერ დაინახონ.

ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ საქართველოში ოჯახური ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორად ეკონომიური სიდუხჭირე სახელდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაწყებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა კატაკლიზმებმა და სამოქალაქო ომმა აიძულა ქართველი ადამიანები შეეცვალებათ სოციალური და ოჯახური როლები. საზოგადოების დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა და გადატაკდა. არასამთავრობო ორგანიზაცია "ნდობის" ფსიქოლოგი, ნანა ალაპიშვილი განმარტავს: "ხშირად ხდება, რომ ქალებმა იპოვეს თავის თავში ძალა ოჯახის სარჩენად ნებისმიერი სამუშაო შეესრულებინათ, მამაკაცები კი ამ დროს უმუშევრად რჩებოდნენ. ბევრ შემთხვევაში მამაკაცებმა ვერ აიტანეს, რომ ისინი აღარ იყვნენ ოჯახისმარჩენალები; არიან ისეთი მამაკაცებიც, რომლებიც ცოლებზე ძალადობას მათ მიმართ კონტროლის შესანარჩუნებლად იყენებენ."

<sup>30</sup>საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 18 აპრილი.

### საცოლის მოტაცება

ჩვენამდე კვლავაც აღწევს ცნობები ქორწინების მიზნით მოტაცების პრაქტიკის შესახებ.<sup>31</sup> ამგვარი მოტაცების შემთხვევაში ქალებს ხშირად აუპატიურებენ და ამ უკანასკნელებს უხდებოდ დაქორწინება, რათა თავიდან აიცილონ სირცხვილი და "ღირსების შელახვა". საერთაშორისო ამნისტიის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, მოტაცების მსხვერპლნი იშვიათად აცნობებენ პოლიციას ამის თაობაზე, რადგან ეშინიათ საზოგადოებრივი აზრის. შედეგად, ხოლო დამნაშავენი ასევე იშვიათად სამართლებიან.

### რა უშლის ხელს ძალადობის მანკიერი წრის დარღვევას

ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს მრავალი პირობა ხელს უშლით დაიცვან თავისი ადამიანის უფლებები და გათავისუფლდნენ ძალადობისაგან. ხშირად ქალები არც კი ეძებენ დახმარებას, რადგან სცხვენიან და ეშინიათ საზოგადოებრივი სტიგმისა, ასევე ფართოდ გავრცელებული აზრის გამო, რომ ოჯახური ძალადობა თავად "ოჯახის საქმეა" და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს. სხვა ბარიერები მოიცავს ამერ შემთხვევებში პოლიციის არადეკლარირებას; სამედიცინო პერსონალის მოუმზადებლობას ოჯახური ძალადობის შემთხვევებისათვის; არასაკმარის დროებით თავშესაფრების არსებობას; დამნაშავეთა წესად ქცეულ დაუსჯელობას; და ასევე, მდგრადი გამოსავლის არარსებობას, რაც პირველ რიგში გულისხმობს ფინანსურ დამოკიდებულებისა და ადეკვატური საცხოვრებელის მოპოვების სირთულეს.

### ოჯახური ძალადობა, როგორც "ოჯახის საქმე"

საქართველოს პირობებში, ოჯახური ძალადობის მრავალი მსხვერპლი ქალი არ ეძებს გარეშე დახმარებას. ხშირად ეს გამოწვეულია სირცხვილის გრძნობით, და ასევე შიშით "ოჯახის დანგრევისა" – თუკი ხმის ამოდებას გადაწყვეტენ. ბევრი თავის თავს ადანაშაულებს მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტში, და ცდილობს თავისი ქცევა შეცვალოს, რათა ასიაშორდოს პარტნიორს და თავიდან აიცილოს "სახჯელი". საკმაოდ ხშირად ქალებს სჯერათ, რომ იმსახურებენ ამგვარ მოპყრობას და რომ მამაკაცს აქვს უფლება ასე მოიქცეს. არასამთავრობო ორგანიზაცია "ნდობის" თანამშრომელი ნანა აღაპიშვილი ოჯახური ძალადობისადმი გავრცელებულ საზოგადოებრივ აზრს ასე აჯამებს: "თუ მამაკაცი ქალს სცემს, ეს საქართველოში ცუდ საქციელად ითვლება. თუმცა, როცა ირკვევა, რომ ეს ამა თუ იმ ოჯახში ხდება, ეს აღიქმევა - რომ ალბათ ცუდი ოჯახია და ალბათ, ეს ქალიც ცუდად იქცევა."<sup>32</sup> ფართოდ არის გავრცელებული რწმენა,

<sup>31</sup> მოტაცება ქორწინების მიზნით განსხვავდება ნებაყოფლობით გაქცევისაგან, რომელიც ზოგჯერ მოტაცებას წააგავს, მაგრამ ორივე მხარის მიერ წინასწარ არის დაგეგმილი.

<sup>32</sup> საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 14 აპრილი.

რომ ძალადობა გამართლებულია - თუკი ქალი დალატობს ქმარს, ან თუკი დედა "სათანადო ყურადღებას არ უთმობს შვილებს".<sup>33</sup> ზემოთ აღნიშნული კავკასიის ქალთა ქსელის კვლევის თანახმად, საქართველოში ქალების 90 პროცენტზე მეტი თვლის, რომ "ქალი უფრო თავმდაბალი უნდა იყოს, რათა არ საფუძველი არ მისცეს მის მიმართ ძალადობას." გავრცელებული სოციალური შეხედულებები იზიარებს და აძლიერებს მოსაზრებას, რომ ოჯახური ძალადობა ოჯახის საშინაო პრობლემაა და ოჯახშივე უნდა გადაწყდეს. ქალების 60 პროცენტზე მეტის პასუხის თანახმად, "ყველა შემთხვევაში, ოჯახში რაც კი ხდება, ოჯახშივე უნდა დარჩეს."

ეკას ქმარი გალოთებულია და არსებული ცნობების თანახმად, თითქმის ყოველდღე სცემს ცოლს და ორ ქალიშვილს. არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თანახმად, ეკას არა აქვს ქმრის ნებართვის გარეშე სახლიდან გასვლის უფლება და მის შვილებს მხოლოდ იმ ტანსაცმლის ჩაცმა შეუძლიათ, რომელსაც მამა მოიწონებს. ეკამ არასამთავრობო ორგანიზაციას 2006 წელს მიმართა დეპრესიისაგან თავის დასაღწევად. მას ეშინია, რომ თუ მეუღლეს გაშორდება, მისი 12 და 19 წლის ქალიშვილებისათვის ძნელი გახდება "კარგი ქმრების" პოვნა, რადგან საზოგადოების მიერ ისინი უკვე "დანგრეული ოჯახიდან გამოსულებად" აღიქმებიან.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ხაზს უსვამენ იმას, რომ საზოგადოებაში ძალიან ჩუდად არის გაცნობიერებული, რომ სქესობრივი ძალადობა დანაშაულია და ადამიანის უფლებების დარღვევაა. არასამთავრობო ორგანიზაცია "საფარის" დირექტორი ნატა ზაზაშვილი ამბობს: " საქართველოში სქესობრივი ძალადობა ოჯახში ერთ-ერთ ძირითად ტაბუს წარმოადგენს. ქალები ხშირად ვერც კი აცნობიერებენ, რომ ისინი სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი არიან." შედეგად, ისინი ამ მდგომარეობას იტანენ.

მაია ცოლად გაჰყვა თავის ახლანდელ ქმარს მის შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ის მოიტაცა. არასამთავრობო ორგანიზაცია "საფარის" თქმით, ქმარმა მაია ცემა ორჯერ სცადა, მაგრამ მაია ფიზიკურად ძლიერია და მოახერხა თავის დაცვა. ამის შემდეგ ქმარს მაია აღარ უცემია, თუმცა ხშირად სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს მას და მათ სამ შვილს. ის ხშირად ამცირებს თავის ცხრა წლის ვაჟს, - უყვირის "შენ რა კაცი ხარ? შენ თხლე ხარ. შენგან კაცი არ გაიზრდება!" ცნობის თანახმად, ქმარი რეგულარულად აიძულებს მაიას სქესობრივ კავშირი ჰკონდეს მასთან, მაგრამ მაია არ ეწინააღმდეგება, რადგან ამაში "ცოლის მოვალეობას" ხედავს. მის მეუღლეს

<sup>33</sup> 2005 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, გამოკითხულ ქალთა 28 პროცენტმა განაცხადა, რომ ცემა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ "ცოლი ქმარს დალატობს" და 13 %-მა ბავშვების მიმართ უყურადღებობა დაასახელა ძალადობისთვის საკმარის მიზეზად. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. 2005 წ. გვ. 39.

სულიერი ავადმყოფობის ნიშნები აქვს და რამდენიმეჯერ სცადა თავის მოკვლა ოჯახის თანდასწრებით.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საზოგადოებაში გაიზარდა იმის გაცნობიერება, რომ ოჯახური ძალადობა მიუღებელი მოვლენაა. რამდენიმე სატელევიზიო გადაცემისა და საჯარო კამპანიების შედეგად, რაც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იყო ორგანიზებული, ოჯახურ ძალადობაზე საუბარი შედარებით ნაკლებად ტაბუ-დადებული თემა გახდა, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო. სატელევიზიო კლიპები ავრცელებენ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების ცხელი ხაზებისა და კრიზისის-ცენტრების შესახებ, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთ დახმარებას სთავაზობენ.

მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებაც მეტად ჩაერთოს ოჯახური ძალადობის შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში. სახელმწიფო მოხელეებმა ყოველი შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ, რათა განაცხადონ თავიანთი მტკიცე ნება საქართველოში ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის თაობაზე, აგრეთვე გაავრცელონ ინფორმაცია - თუ რა დახმარების მიღების უფლება ეკუთვნით ძალადობა-გადატანილ ქალებს და თუ როგორ შეიძლება ამ დახმარების მიღება. ხელისუფლებამ ასევე უნდა მთელი საქართველოს ფარგლებში იზრუნოს სკოლებში ცნობიერების ამაღლებაზე, რათა ბავშვებმაც გაიაზრონ, გენდერული ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა იმის მიუხედავად, ამას ფიზიკური პირი ჩაიდენს თუ სახელმწიფო. ამას გარდა, მთავრობამ უნდა მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია კონვენციის არჩევითი პროტოკოლის შესახებ, რომელსაც საქართველო 2002 წელს მიუერთდა და რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში ცალკე და ჯგუფურად შეიტანონ პეტიცია გაეროს ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტში.

იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობას, რომლებიც ოჯახური ძალადობის საკითხებზე მუშაობენ, თბილისში აქვთ ბინა დადებული. დედაქალაქს გარეთ, რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციების რიცხვი, და შესაბამისად ძალადობის მსხვერპლთა შესაძლებლობა მოიპოვონ დახმარება მეტად შეზღუდულია, თუმცა ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ოფისები არის შემდეგ ქალაქებსა და რაიონებში: ამბროლაური, ახალციხე, ბათუმი, გორი, გურჯაანი, ქუთაისი, ოზურგეთი, რუსთავი, სვანეთი და ზუგდიდი. სხვა ორგანიზაციებსაც დიდი სურვილი აქვთ რეგიონებში გასვლის, მაგრამ დაფინანსების ნაკლებობის გამო, ჯერჯერობით მათი შესაძლებლობები შეზღუდულია.

### პოლიციის რეაგირება

ოჯახური ძალადობის შემთხვევებში ქალების მხოლოდ მცირედი წილი მიმართავს პოლიციას დახმარებისათვის. კავკასიის ქალთა ქსელის კვლევის თანახმად, თუმცა ყოველ მეშვიდე ან მერვე ქალს უფიქრია პოლიციისთვის მიემართა ფიზიკური ოჯახური ძალადობისაგან თავის დასაცავად (13.1 %), გამოკითხულთა მხოლოდ 1.8 პროცენტმა მართლაც მიმართა პოლიციას. 2005 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, ოჯახური ძალადობის ფაქტზე პოლიციას 5% დაუკავშირდა.

მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მიმართავენ ქალები პოლიციას, მრავალია და მოიცავს სირცხვილის გრძნობას იმის გამო, რომ გარეშე დახმარებას საჭიროებენ, მაგრამ ასევე ეჭვი, რომ პოლიციას შეუძლია კონსტრუქციული გამოსავლის შეთავაზება.

დღემდე, სასწავლო კურსში თბილისის პოლიციის აკადემიისა, რომელიც მთელ საქართველოს პოლიციეს წვრთნაზე პასუხისმგებელი, არ შედის ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების საფუძვლიანი განხილვა. მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივისტებისგან საერთაშორისო ამნისტიისადმი მოწოდებული ცნობით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ორგანიზაციების მიერ გამართულ საწვრთნელ კურსებზე, დიდი ინტერესი გამოთქვეს - ესწავლათ რეაგირება ოჯახურ ძალადობაზე, რომელიც მათ პროფესიულ ცხოვრებაში აგრეირგ ხშირია.

“ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებათა 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმის” წინასწარი ტექსტის თანახმად, რომელიც მთავრობის მიერ 2006 სექტემბრისთვის უნდა დამტკიცებულიყო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაატარებენ წვრთნას ოჯახური ძალადობის საკითხებზე - საპატრულო პოლიციისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებისათვის, პროკურორებისათვის, მოსამართლეებისთვის, ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლებისთვის და სოციალურ მუშაკთათვის. 2006 წლის 24 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში, გენერალური პროკურატურის ადამინის უფლებათა დაცვის განყოფილებამ საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ გენერალური პროკურატურა მიმდინარე წლის ბოლომდე ჩაატარებს შესაბამის წვრთნას პროკურორებისათვის.

საერთაშორისო ამნისტიის საქართველოში ფაქტების მოსაძიებელი ვიზიტის მსვლელობაში, 2006 წლის აპრილში, ორგანიზაციამ შეიტყო ბევრი ისეთი შემთხვევის შესახებ, რომელმაც გამოავლინა პოლიციის მხრიდან ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების სხვადასხვაგვარობა. ხშირად პოლიციის თანამშრომლები იზიარებენ საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ოჯახური ძალადობა "ოჯახის საქმეა" და ამდენად

ოჯახშივე უნდა მოგვარდეს. ასევე, ხშირ შემთხვევაში პოლიციეს თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ ძალადობა ქალის მიერ იყო "პროვოცირებული" და ურჩევენ მას მომავალში პარტნიორის მოთხოვნების უკეთ "შესრულებით" აიცილოს ცემა.

მაგალითად, დასავლეთ საქართველოს სოფელში მცხოვრებმა რუსუდანმა პოლიციას რამდენიმეჯერ მიმართა, რადგან მისი მეუღლე მას სასტიკად სცემდა. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თანახმად, ერთხელ, როდესაც მან პოლიციას მიმართა დახმარებისათვის, პოლიციეს ერთერთმა თანამშრომელმა მას ურჩია, სახლში წასულიყო და ქმართან დაპირისპირების "პროვოცირება" მეტი აღარ მოეხდინა. ქალი რამდენიმეჯერ გაიქცა სახლიდან, მაგრამ ნათესავებმა ყველა ასეთი შემთხვევის შემდეგ უკან დააბრუნეს.

სხვა შემთხვევებში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მისუღან ოჯახის სახლში/ბინაში და უცდიათ მოძალადის დამშვიდება, ზოგჯერ რამდენიმე საათით პოლიციის მანქანით ტარებით ან და პოლიციის განყოფილებაში წაყვანით. როდესაც მოძალადე შინ დაბრუნებულა, ხშირად პარტნიორის აგრძელება ქალის ცემას – ამჯერად პოლიციის გამოძახების გამო მისი "დასჯის" საბაბით.

სხვა შემთხვევებში, არსებული ცნობების თანახმად, პოლიცია საერთოდ არ რეაგირებდა ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როდესაც იგივე ოჯახიდან რამდენიმეჯერ წინა გამოძახების შედეგად პოლიციის ჩარევას სიტუაცია არ შეუცვლია.

არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის თანამშრომელი, მარინა ლებანიძე იხსენებს შემთხვევას, როდესაც ქალმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რადგან ქმარი ნასვამი იყო და სცემდა მას. მიღებული ცნობით, ადგილზე მოსულმა პოლიციეს თანამშრომლებმა თავად სცემეს ქმარი, რათა მას შეეწყვიტა ცოლზე ძალადობა.

საერთაშორისო ამნისტიის მიერ გამოკითხულმა ქალბატონმა რამდენიმე წლის წინ მომხდარი ინციდენტი გაიხსენა. მისი თქმით, როდესაც პოლიციას მიმართა - მოძალადე ქმრისაგან მისი და დედამისის დაცვის სათხოვნელად, პოლიციის მაღალჩინოსანმა იგი ცემა და გაუპატიურებაც სცადა.

ქეთიმ საერთაშორისო ამნისტიას მოუთხრო, რომ მისი ქმარი ხშირად სასტიკად წიხლავდა და სცემდა ხოლმე, ზოგჯერ სრულ დაღურჯებამდე. ქმარი ცოლს ხშირად ბავშვების თანდასწრებითაც სცემდა. ქეთიმ პოლიციას სამჯერ გამოუძახა - ერთხელ იმიტომ, რომ ქმარი სიდედრსაც სცემდა. "როდესაც პოლიცია მოვიდა, ჯერ მე შემხედეს ისე, თითქოს ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. მე ნასვამი ვიყავი და მათი აზრით ჩემი ქმარი მართალი იყო,

რომ მსჯიდა", იხსენებს ქეთი. სხვა დროს პოლიციამ მისი მეუღლე პოლიციის განყოფილებაში ერთი ღამით წაიყვანა. დაბრუნების შემდეგ, ცნობის თანახმად, მან ცოლს უფრო ძლიერად სცემა პოლიციას გამოძახებისთვის. მისი მონაყოლით, როცა ქეთი პოლიციაში მესამედ მივიდა დახმარების სათხოვნელად - "პოლიციის მაღალჩინოსანმა თავის კაბინეტში დამიბარა და კარი ჩაკეტა. მან ჩემი გაუპატიურება სცადა და გაქცევა რომ ვცაღდ, ცემა დამიწყო." როდესაც ქეთიმ გაქცევა მაინც მოახერხა, გადაწყვიტა, მეტი აღარასოდეს მიემართა პოლიციისათვის. სამი წლის წინ ქეთიმ, ბავშვებთან ერთად, მიატოვა ქმარი და ამჟამად თავის მშობლებთან ერთად ცხოვრობს.

საერთაშორისო ამნისტიამ ისეთი შემთხვევების შესახებაც შეიტყო, როდესაც პოლიციეს თანამშრომლებმა ქალები ქმრის მიერ ცემისაგან დასაცავად ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავშესაფარში წაიყვანეს. კიდევ სხვა შემთხვევაში, 2004 წელს, პოლიციამ დაიცვა ქალი, რომელიც მოძალადე ქმარს გამოექცა და თავშესაფარში ოთხი შვილით მივიდა.

მანანას ქმარმა შეიტყო მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თანახმად, ის თავშესაფართან დაუდარაჯდა ცოლს და სცემა იგი, შუბლი სულ დაულურჯა. როდესაც თავშესაფრის თანამშრომლებმა პოლიციას გამოუძახეს, პოლიციელები დაუყოვნებლივ მოვიდნენ და მანანას ქმარს დააწერიეს ხელწერილი, რომ ის აღარასოდეს მივიდოდა თავშესაფარში. "პოლიციამ ისეთი რეაგირება მოახდინა, როგორიც საჭირო იყო. ერთმა პოლიციელმა მობილური ტელეფონის ნომერიც დაგვიტოვა, რათა ნებისმიერ დროს დაგვერეკა. მანანას ქმარი თავშესაფარში აღარასოდეს მოსულა", განაცხადა თავშესაფრის თანამშრომელმა.<sup>34</sup>

2006 წლის 25 მაისს მიღებული ოჯახური ძალადობის კანონის მე-16-ე მუხლის თანახმად, "პოლიციას არ აქვს უფლება, ოჯახური ძალადობის შემთხვევას მოეკიდოს ნაკლები პასუხისმგებლობით, ვიდრე სხვა ძალადობის შემთხვევას". კანონი ავალდებულებს პოლიციას "დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს [ოჯახური ძალადობის შემთხვევაში გამოძახებას] და მიიღოს ყველა სამართლებრივი ზომა". იგივე მუხლის თანახმად, პოლიციის ვალდებულებაა "ცალკე გაესაუბროს შესაძლო მსხვერპლს, მოწმეს, მოძალადეს, ბავშვებს და ჩაიწეროს [გასაუბრება]; ასევე, "შეატყობინოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლს მისი უფლებების შესახებ"; ასევე, მსხვერპლის მოთხოვნის შემთხვევაში, "მსხვერპლი ან მისი შვილები თავშესაფარში გადაიყვანოს".

კანონი ასევე უფლებას აძლევს პოლიციას და პირველი ინსტანციის სასამართლოებს, მიიღონ დროებითი დაცვის ზომები. პოლიციას შეუძლია

<sup>34</sup>საერთაშორისო ამნისტიის მიერ აღებული ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 18 აპრილი.



გასცეს შემაკავებელი ორდერი მოძალადის მიმართ.<sup>35</sup> ეს ორდერი უნდა 24 საათის განმავლობაში წარედგინოს სასამართლოს დასამტკიცებლად. პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, გასცეს დამცავი ორდერი იმ შემთხვევების გარდა, თუ კი არის მოძალადის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი, რა შემთხვევაშიც ეჭვიმტანილი დაპატიმრდება. თუ მოძალადე შემაკავებელ ან დამცავ ორდერში მითითებულ პირობებს დაარღვევს, ის მართლმსაჯულების წინაშე როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე წარსდგება. მე-12-ე მუხლის თანახმად, "დამცავი ორდერის მოქმედება შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა შერიგლებისას მოსამართლის სათანადო გადაწყვეტილებით სასამართლოსათვის მხარეთა ერთობლივი მიმართვის საფუძველზე..."<sup>36</sup>

ორგანიზაცია თვლის, რომ ამ ახალი სამართლებრივი ზომების ეფექტური შესრულებისათვის აუცილებელია, რომ ყველა იმ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა და მოსამართლეებმა, აგრეთვე ადვოკატები და პროკურორები, რომელთაც დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაცემასთან, ან ასეთი ორდერების გაუქმებას ან დარღვევასთან ექნებათ საქმე, გაიიარონ საფუძველიანი წვრთნა. ტრენინგი დროულად უნდა ჩატარდეს მთელი საქართველოს მასშტაბით.

დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა აწარმოონ ზედამხედველობა და აწარმოონ ანგარიშგება ახალი დაცვის მექანიზმების შესრულებაზე.

### ჯანდაცვის სისტემა

მრავალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალი, რომელიც სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, არ მიმართავს დახმარებისთვის სამედიცინო დაწესებულებებს. კავკასიის ქალთა ქსელის კვლევის თანახმად, ყოველი მეთორმეტე ქალი სულ ცოტა ერთხელ საჭიროებს სამედიცინო დახმარებას ოჯახური ძალადობის გამო (8.4%). მიუხედავად ამისა, მხოლოდ 2.7 პროცენტმა რეალურად ითხოვა სამედიცინო დახმარება და ერთი პროცენტი მოიქცა ასე რამდენიმეჯერ. 2005 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის

<sup>35</sup> ოჯახური ძალადობის შესახებ კანონი ავალდებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეიმუშავოს და დაადგინოს შეზღუდვის ორდერების გაცემის ფორმა კანონის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ საერთაშორისო ამნისტიას 2006 24 აგვისტოს აცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო შექმნიდა პოლიციის იმ თანამშრომელთა სიას, რომელთაც შეზღუდვის ორდერების გაცემის უფლებამოსილება ექნებოდათ.

<sup>36</sup> დაცვის ორდერის გაუქმება არ შეიძლება მხარეთა მიერ შერიგების შემთხვევაში ისეთ შემთხვევებში, თუ "ოჯახური ძალადობის აქტი არღვევს ოჯახის სხვა წევრის, განსაკუთრებით მცირეწლოვანის უფლებას." (მუხლი 13).

კვლევის შედეგების თანახმად, ფიზიკური ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალების მხოლოდ ოთხმა პროცენტმა მიმართა დახმარებისათვის სამედიცინო დაწესებულებას.

ისინი, ვინც სამედიცინო დახმარებას ითხოვენ, ხშირად არ ამხელენ დაზიანების მიზეზებს და სამედიცინო პერსონალიც დამატებით კითხვებს არ სვამს. ქალთა უმეტესობა სირცხვილის გამო სიჩუმეს ინარჩუნებს, ან კი იმიტომ, რომ არ სჯერათ, რომ სამედიცინო პერსონალს ოჯახური ძალადობის პრობლემების მოგვარებაში ძალუბთ დახმარების გაწევა.

სწავლის პერიოდში სამედიცინო მუშაკებს არ მიუღია რაიმე წვრთნა ოჯახური ძალადობის საკითხებზე. ასევე არ არსებობს სახელმძღვანელო მითითებები ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების თაობაზე. საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ტრენინგი სამედიცინო პერსონალისთვის, მათ შორის ექიმების, ექთნების, მეანების, სამედიცინო სფეროს სტუდენტებისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტებისათვის, რათა ჯანდაცვის სფეროს მუშაკებმა შეძლონ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და მისამართონ ისინი სხვა ისეთ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მათ დამატებით კონსულტაციასა და მხარდაჭერას გაუწევენ. დამატებით, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო ჩანაწერების მკაცრი კონფიდენციალურობის დაცვას. ამჟამად, სამედიცინო ჩანაწერები ადვილად ხელმისაწვდომია ოჯახის სხვა წევრებისათვის.

ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩაატარა ოჯახური ძალადობის ტრენინგი სამედიცინო პერსონალისათვის, მაგრამ დაფინანსების შეზღუდულობის გამო ეს პროექტები მცირემასშტაბიანი იყო. ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პოლიკლინიკის თერაპევტი, ნანა ნარსია, რომელიც უკვე 20 წელია უბნის 2400-მდე ზრდასრულს ემსახურება, ოჯახური ძალადობის საკითხში გარკვეულია, მას არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი აქვს გავლილი. ქალბატონმა ნარსიამ საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ რეგულარულად უზღებდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლების მკურნალობა და რომ ზოგიერთი ქალი მას სხეულის დაზიანებების წარმოშობის შესახებაც ესაუბრება: "ახალი ტენდენციაა, რომ ზოგიერთმა ქალმა მოახერხა სირცხვილის გრძნობა გადაელახა. ზოგიერთი მთხოვს დეტალურად აღწერო მათი დაზიანებები, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ სამედიცინო დასკვნა ჰქონდეთ სასამართლოსათვის."<sup>37</sup>

ორგანიზაცია ქალთა ცენტრის თანამშრომელმა ია ვერულაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სამედიცინო პერსონალის ტრენინგი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის საკითხებზე მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ მსხვერპლმა სათანადო სამედიცინო დახმარება მიიღოს. "ხშირად

<sup>37</sup> საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 18 აპრილი.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები ექიმთან სხვადასხვა სიმპტომებით მიდიან, როგორცაა ჰიპერტენზია, უშვილობა, უძილობა, საშვილოსნოდან სისხლდება ან ქრონიკული თავის ტკივილი. დღეს ექიმები, როგორც წესი, არ უფიქრდებიან პრობლემის თავდაპირველ მიზეზს და ამას კი სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს დანიშნული მკურნალობის მხრივ. უარეს შემთხვევაში, ინფორმაციის უქონლობას შედეგად ნაკლებად ეფექტური მკურნალობა განხორციელდება."

### თავშესაფრების საჭიროება

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრების არსებობა ქალთა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს თავშესაფრები დროებით უსაფრთხო ადგილს თავაზობენ ქალებს, რომლებსაც აღარ სურთ ძალადობრივი ურთიერთობის გაგრძელება და სხვაგან წასასვლელი კი არ აქვთ.

საქართველოში სახელმწიფო თავშესაფრები არ არსებობს და ხელისუფლება არ უზრუნველყოფს ფინანსურ ან სხვაგვარ მხარდაჭერას იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც თავშესაფრების დაარსების სურვილი აქვთ. დღეისათვის საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ორი თავშესაფარი მუშაობს. ოჯახური ძალადობის ზოგიერთი მსხვერპლი იღებს ამგვარ დახმარებას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და საქართველოს ევანგელისტურ ბაპტისტური ეკლესიისგანაც.

საწართველოს ძალადობისგან დაცვის ქსელი განაგებს თავშესაფარს, რომელიც უსაფრთხო დროებით საცხოვრებელ ადგილს და სხვა მომსახურებას სთავაზობს ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლებს, დაწყებული 2003 წლიდან. ეს თავშესაფარი თბილისში სამოთახიან ბინაშია განთავსებული და ათ ადამიანამდე იტევს. 2005 წელს არასამთავრობო ორგანიზაციას ბინის დაცლა მოუხდა და ფინანსური ხელმოკლეობის გამო, თბილისის მუნიციპალიტეტს თხოვნით მიმართა თავშესაფრის მოსაწყობად ბინის გამოყოფის თაობაზე. მიუხედავად ამისა, 2005 წლის 8 ივლისით დათარიღებული წერილით, მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამმართველომ თხოვნას უარით უპასუხა.

მეორე თავშესაფარს არასამთავრობო ორგანიზაცია საფარი მეურვეობს. ის 2006 წლის 2 ივლისს გაიხსნა და მაქსიმუმ ექვს ადამიანს იტევს.<sup>38</sup>

2006 წლის 25 ივლისს მიღებული ოჯახური ძალადობის კანონი აღიარებს დამატებითი თავშესაფრების შექმნის აუცილებლობას. იგი ამბობს,

<sup>38</sup> ნანა ზაზაშვილმა აღნიშნა, რომ თუმცა მისი არასამთავრობო ორგანიზაცია ზოგადად ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობს, ეს თავშესაფარი კონკრეტულად ქალებისა და ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.

რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ან არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა დააარსონ თავშესაფრები სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. სამწუხაროდ, ამ მუხლის შესრულება 2008 წლამდე არის გადავადებული. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის რეგიონალურმა კოორდინატორმა, ელისო ამირეჯიბმა თავშესაფრების დაარსების 2008 წლამდე გადადებასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: "მოთხოვნა იმდენად მაღალია. როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამას? ერთის მხრივ, გვინდა ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერების დონე ჩვენი ორგანიზაციის შესახებ და ოჯახური ძალადობის შესახებ და რა თქმა უნდა, ჩვენ სწორედ ამას ვაკეთებთ. მეორეს მხრივ, ჩვენ მხოლოდ ერთი თავშესაფარი გვაქვს. ჩვენ ვერ მოვიცდით. სასწრაფოდ გვესაჭიროება მეტი თავშესაფარი ახლავე."<sup>39</sup>

თამუნა რვა წელიწადია ქორწინებაში იმყოფება თავის ქმართან. საერთაშორისო ამნისტიას მან განუცხადა, რომ ქმარი ქორწინების მხოლოდ პირველ წელს არ სცემდა მას. შემდეგ, მისი თქმით, ქმარი მას კედელს ახეთქებდა, თმით ითრევდა და სცემდა ისეთ ადგილებში, სადაც დაღურჯება არ გამოჩნდებოდა. ხშირად ბავშვების თვალწინაც სცემდა. ქმარმა ისიც სცადა, სამსახურში სიარული აეკრძალა, მაგრამ თამუნა არ დასთანხმდა ბიბლიოთეკარად მუშაობისათვის თავი დაენებებინა. "ის მუდმივად მიყვიროდა 'შენ აღამიანი არა ხარ. შენ ცუდი ცოლი ხარ. ცუდი დედა ხარ,'" ისხენებს თამუნა. "ნებისმიერი მიზეზით მცემდა. მაგალითად, მცემდა, რომ 'დავესაჯე' თუ დავიძინებდი, როცა მას არ ეძინებოდა ან თუ დილით არ მივესალმებოდი, მაშინაც კი, თუ ამას იმიტომ არ გავაკეთებდი, რომ არ გამეღვიძებინა. რომ გამეღვიძებინა, ეს კიდევ ერთი მიზეზი იქნებოდა, რომ ვეცემე." თამუნა მუდმივად იმის შიშში იყო, "რაიმე არასწორი" არ გაეკეთებინა. "ის ამბობდა, რომ თამუნა უყვარს, მაგრამ მას როგორც თავის საკუთრებას, ისე უყურებდა", ამბობს ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენელი. 2005 წლის ოქტომბერში თამუნამ თავშესაფრის არსებობის შესახებ შეიტყო და ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის კრიზის-ცენტრს მიმართა. მალე ის თავშესაფარში გადავიდა. "რვა წლის მანძილზე პირველად მეძინა ნორმალურად," თქვა მან. თავშესაფარში ყოფნის რამდენიმე კვირის შემდეგ თამუნამ გადაწყვიტა ქმართან დაბრუნებულიყო და მისთვის კიდევ ერთი შანსი მიეცა. "მან იცის, რომ მე მხარს ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი მიჭერს და ჯერ არ ვუცემივარ. მაგრამ ვხედავ, რომ მასში აგრესია მატულობს და ვშიშობ, ერთ დღესაც ისევ აფეთქდება და კვლავ ძალადობას დაუბრუნდება."

საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს ხელისუფლებას უზრუნველყოს, რომ საქართველოს მასშტაბით სასწრაფოდ დაარსდეს თავშესაფრები, რათა ყველა ქალსა და მის ბავშვებს ჰქონდეთ უსაფრთხო წასასვლელი ადგილი, თუკი ეს ქალი ძალადობრივი ურთიერთობისგან თავის დაღწევას გადაწყვეტს.

<sup>39</sup> საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 13 აპრილი.

### მოძალადეთა წესად ქცეული დაუსჯელობა

საერთაშორისო ამნისტიის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახური ძალადობის საქმეების მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს სასამართლომდე. აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, როგორც წესი, ეხება სხეულის განსაკუთრებით მძიმე დაზიანებას ან მკვლელობას.

ქალები იშვიათად აღძრავენ სასამართლო საქმეს ინტიმური პარტნიორების წინააღმდეგ ოჯახური ძალადობის გამო. სირცხვილი, ოჯახის დანგრევის შიში და ფინანსური დამოკიდებულება არის რამდენიმე იმ მიზეზთაგან, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რატომ არ მიმართავენ ქალები სასამართლოს, როგორც მათი პრობლემის მოგვარების შესაძლო გზას. არსებული ცნობების თანახმად, როდესაც თავად ქალებს არ სურთ ქმრების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა, როგორც წესი სისხლის სამართლის სისტემა საქმეს შესაბამისად არ იძიებს.

საერთაშორისო ამნისტიის მიმართ 2006 წლის 24 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილება აცნობიერებს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ დაუსჯელობის პრობლემას და ხაზს უსვამს, რომ "ოჯახური ძალადობის საქმეების დროული და ეფექტური გამოძიება საქართველოს საგამოძიებო სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტია".

თინათინი ქორწინებაში არ იმყოფება, მაგრამ 2000 წლიდან ცხოვრობს თავის პარტნიორთან ერთად თბილისთან ახლომდებარე სოფელში. არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის თანახმად, მათი ერთად ცხოვრებიდან რამდენიმე თვეში კაცმა თინათინს ცემა დაუწყო. ცემა თანდათან გახშირდა და ბოლოს ყოველდღიური გახდა. ცნობის თანახმად, კაცი სქესობრივი ძალადობასაც მიმართავს. თინათინმა, მისი ცნობით, პოლიციას მრავალგზის მიმართა. თავდაპირველად მან პოლიცია რამდენიმეჯერ გამოიძახა და ცემისაგან დაცვა სთხოვა. მაგრამ, როდესაც მისმა პარტნიორმა გაიგო, თუ ვინ გამოიძახა პოლიცია, პოლიციის თანამშრომელთა წასვლის შემდეგ უფრო გაცხარდა და ქალის ცემა გააგრძელა. როდესაც სხვა გამოსავალი აღარ ჩანდა, თინათინმა, ცნობის თანახმად, კვლავ მიმართა პოლიციას და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის თანამშრომლის საშა ნოსელიძის თქმით, რომელიც თინათინის საქმეს მეთვალყურეობს, პოლიციამ თინათინის შემთხვევაში მის მოთხოვნაზე მხოლოდ "სიმბოლური" რეაგირება მოახდინა, სინამდვილეში კი ზომები მიიღო, რათა საქმე დახურულიყო. ცნობების თანახმად, პოლიციას არ დაუკითხავს არცერთი მეზობელი და ერთი მეზობლის ჩვენება გააყალბა. როგორც გაირკვა, ეს ჩვენება შემდგომში გამოყენებული იქნა საქმის დასახურად. თინათინი თვლის, რომ პოლიციამ არ მოახდინა სათანადო რეაგირება და დაფარა მისი პარტნიორის დანაშაული, რადგან მას რაიონის

პოლიციის თანამშრომლებთან ახლო ურთიერთობა აქვს. თინათინი ჯერ ისევ მის პარტნიორთან ცხოვრობს, რადგან წასასვლელი არსად აქვს. არასამთავრობო ორგანიზაციამ წარადგინა შუამდგომლობა პროკურატურაში, რომლითაც მოუწოდებენ მას გამოიძიოს პოლიციის სამსახურებრივი დარღვევა და მტკიცებულების გაყალბების ფაქტი. დამატებით, არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად თინათინმა მეორე შუამდგომლობა შეიტანა, რომელშიც სთხოვს ხელისუფლებას, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მისი პარტნიორის წინააღმდეგ. პროკურატურამ უპასუხა, რომ აღიძრა საქმე "სამსახურებრივი დოკუმენტაციის გაყალბების" მუხლით<sup>40</sup> 2006 წლის თებერვალში და ასევე თინათინის პარტნიორის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად ამისა, მაისის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაციამ საერთაშორისო ამნისტიას შეატყობინა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით არანაირი საგამოძიებო ღონისძიება არ მიმდინარეობს.

თუ ქალებს არ ექნათ პრაქტიკული შესაძლებლობა შეწყვიტონ ძალადობრივი ურთიერთობა, არსებობს რისკი, რომ ზოგი ძალადობის მსხვერპლმა ექსტრემალური გამოსავალი აირჩიოს, როგორცაა თვითმკვლელობა ან მოძალადის მკვლელობა. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის თანამშრომელმა ელისო ამირეჯიბმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ მან იცის რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როდესაც ქალებმა, რომლებსაც ქმრები რეგულარულად სცემდნენ წლების განმავლობაში, მოკლეს მოძალადენი. ელისო ამირეჯიბმა შემდეგი შემთხვევა მოგვითხრო: "თამარ ვახოკიძეს, რომელიც ახლა 23 წლის არის, ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მეუღლის მკვლელობისათვის. ქმარი მას რეგულარულად სცემდა. პოლიცია მის ზარებს აღარ პასუხობდა. ჩემი ინფორმაციით, თუმცა მეზობლებმა და მისმა გარემოცვამ იცოდა, რომ ქმარი მას მუდმივად სცემდა, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ეს შემამსუბუქებელ გარემოებად არ მიიღო, როდესაც 2005 წლის თებერვალში განაჩენი გამოიტანა."<sup>41</sup>

ოჯახურ ძალადობაში დამნაშავეთა დაუსჯელობა ხელს უწყობს ოჯახური ძალადობის არსებობას. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებას მკაფიო სიგნალი გაუგზავნოს, - რომ ოჯახური ძალადობა არღვევს მსხვერპლის ადამიანის უფლებებს და რომ ის სისხლის სამართლის დანაშაულია. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა აიძალდონ ხმა და იმოქმედონ, რათა უზრუნველყონ საჭიროების შემთხვევაში მკაცრი ზომების მიღება; რათა ოჯახური ძალადობის დანაშაული არ იყოს პატივებული; და რათა ძალადობის მსხვერპლებმა მიიღონ სათანადო კომპენსაცია (რეპარაცია), და იქნენ სათანადოდ დაცულნი.

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 341.

<sup>41</sup> საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 13 აპრილი.

### საქართველოს კანონმდებლობა

არც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და არც 2006 წლის კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ არ შეიცავენ რაიმე კონკრეტულ მუხლს ოჯახური ძალადობის სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადების შესახებ. ამავე დროს, 2006 წლის მაისის კანონის მე-9-ე მუხლი ხაზს უსვამს იმას, რომ ოჯახური ძალადობა უნა განიხილებოდეს, როგორც ასეთი დანაშაული, როდესაც ის "შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს." სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი შეიძლება იქნას გამოყენებული ოჯახური ძალადობის ზოგიერთ გამოვლინებაში, როგორცაა განზრახ მკვლელობა, მკვლელობა, განზრახ სხეულის მძიმე დაზიანება, თავდასხმა, ცემა, პიროვნების თვითმკვლელობამდე მიყვანა და გაუპატიურება.

ამავდროულად, საერთაშორისო ამნისტია შეშფოთებულია იმით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, დანაშაული, როგორც განზრახ სხეულის მცირე დაზიანება,<sup>42</sup> და ცემა<sup>43</sup>, თუნდაც ოჯახური ძალადობის კონტექსტში ჩადენილი, შეიძლება იქნას გამოიძებული მხოლოდ მსხვერპლის საჩივრის საფუძველზე. საქმე, როგორც წესი, წყდება, თუ მომჩივანი და ბრალდებული შერიგდებიან.<sup>44</sup>

სისხლის სამართლის საქმე გაუპატიურების (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 137, ნაწილი 1)<sup>45</sup> და სქესობრივ კავშირზე ან სხვა სქესობრივი აქტის იძულებით დათანხმების (მუხლი 139, ნაწილი 1)<sup>46</sup> შემთხვევაში მხოლოდ მსხვერპლის საჩივრის საფუძველზე შეიძლება აღიძრას, გარდა შემთხვევისა, როცა საქმეს "განსაკუთრებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობა" ენიჭება ანდა მსხვერპლს არ შეუძლია თავის დაცვა "ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო". ასეთ შემთხვევაში პროკურორს უფლება აქვს აღძრას საქმე, თუმცა, მხოლოდ მსხვერპლის წერილობითი

<sup>42</sup> სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 120.

<sup>43</sup> სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 125 დასჯადად აცხადებს "ცემას და სხვა ძალადობას, რაც იწვევს მსხვერპლის ფიზიკურ ტკივილს" მაგრამ ეს არ ფარავს განზრახ სხეულის დაზიანებას (117-ე მუხლი).

<sup>44</sup> საქმე არ შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მხარეთა შერიგების შემთხვევაში, თუკი საქმის მსვლელობაში მხარეთა ან მხოლოდ მსხვერპლის ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნით ჩაერთო პროკურორი. პროკურორს შეუძლია კერძო საქმეში მონაწილეობა, თუ საქმეს "განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა" ენიჭება.

<sup>45</sup> სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 137, ეხება გაუპატიურებას, ძალადობის მუქარას ან მსხვერპლის უმწეობით სარგებლობას. მუხლის მე-2-ე, მე-4-ე ნაწილები ეხება განმეორებით გაუპატიურებას; 14 წლამდე ასაკის პირთა გაუპატიურებას და გაუპატიურებას სხვა დამამძიმებელ გარემოებებში.

<sup>46</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი, ნაწილი 1 ეხება სქესობრივ კავშირში ან სხვა სქესობრივ ქმედებაში მონაწილეობის დაძალებას. ნაწილი 2 ეხება იგივე დანაშაულს მცირეწლოვანის მიმართ.

თანხმობის საფუძველზე. ზემოთ აღნიშნული არცერთი მუხლი არ აცხადებს კანონგარეშედ ქორწინებაში გაუპატიურებას, თუმცა ამავე დროს, არ არის აკრძალული ამ მუხლების გამოყენებაც გამოყენება ამგვარ შემთხვევებში. 2004 წლის მაისის ქალების მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის კომიტეტისადმი საქართველოს ანგარიშის თანახმად, მოცული პერიოდის განმავლობაში 139-ე მუხლი (სქესობრივ კავშირზე ან სხვა სქესობრივი აქტებზე იძულებით დათანხმება) ქალების მიმართ ჩადენილი არცერთი სისხლის სამართლის საქმეში არ ფიგურირებს.

საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ნათლად განსაზღვრა, რომ "სისხლის სამართლის საქმის გახსნის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება პროკურატურას და იგი არ არის ძალადობის მსხვერპლი ქალის პასუხისმგებლობა."<sup>47</sup> თუმცა, საერთაშორისო ამნისტიის აზრით, ქალებს, რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეთ საშუალება გააკეთონ განაცხადი და მოითხოვონ საქმის გახსნა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ძირითადი მოვალეობა სახელმწიფოს ეკუთვნის ყველა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება. ქალს უნდა ეთხოვოს იყოს მოწმე და არა სამართალწარმოების ინიციატორი. მრავალი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ თუ სისხლის სამართლის წარმოების ინიცირება და გაგრძელება ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალის პასუხისმგებლობაა, მოძალადე ხშირად აიძულებს მას შეწყვიტოს სამართალწარმოება. თუ ქალის როლი პროკურატურის წამოწყებულ სამართალწარმოებაში მოწმის სტატუსით განისაზღვრება, მისი უსაფრთხოება უფრო კარგად არის დაცული. ამავდროულად, კანონმა უნდა მისცეს ქალს სრული უფლება უარი განაცხადოს მოწმედ გამოსვლაზე. ასეთ შემთხვევებში მისი უარის მიზეზი მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოკვლეული, როდესაც ეს შესაძლებელია (მაგალითად შემდგომი ძალადობის შიში, საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხე, ა.შ.).

ოჯახურ ძალადობაში დამნაშავეთა დაუსჯელობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასამართლოში დასაშვებ მტკიცებულებას. თუმცა პოლიციამ შეიძლება აღმოაჩინოს დაღურჯებები ანდა სხვა დაზიანება, და უზრუნველყოს მსხვერპლისთვის შესაძლებლობა გაესინჯოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს, სირთულეები შეიძლება წარმოიქმნას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმეში არ არსებობს მოწმე, ან ერთადერთი მოწმე მცირეწლოვანი ბავშვია. არის მოსაზრება, რომ სამართალწარმოების წარმატებისათვის დასაშვები იყოს შესაბამისი ექსპერტების, როგორცაა სოციალური მუშაკები და ქალთა და ოჯახური ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები,

<sup>47</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1997 წლის 12 დეკემბერ მიღებული რეზოლუციის 52/86 ნაწილი 7 (ბ), დანაშაულის აღმოფხვრისა და სისხლის სამართლის წარმოების სფეროში ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საცდელი სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები.



სასამართლოში მოწმედ გამოსვლა. ასეთი მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ იყოს შეზღუდული ადრე ჩადენილი ოჯახური ძალადობის ინციდენტების მტკიცებულებით და ძალადობის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ შედეგებთან დაკავშირებული მტკიცებულებით.

წინამდებარე ანგარიშის შედგენისას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ოჯახური ძალადობა არ ითვლებოდა შემამსუბუქებელ გარემოებად - ოჯახური ძალადობის მსხვერპლის მიერ მოძალადის მიმართ დანაშაულის ჩადენისას. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებამ 2006 წლის 24 აგვისტოთი დათარიღებული წერილით საერთაშორისო ამნისტიას აცნობა, რომ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და მასთან ბრძოლისათვის აუცილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სისხლის სამართლის კოდექსში შევიდოდა ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ოჯახური ძალადობის შემამსუბუქებელ გარემოებად აღიარება.

#### *სამართალწარმოება*

რადგან ხელისუფლება არ აგროვებს ყოვლისმომცველ სტატისტიკას ოჯახური ძალადობის შემთხვევების გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს დამნაშავესა და მსხვერპლის სქესსა და მათ შორის ურთიერთობის სახეს, ოჯახური ძალადობის სფეროში სამართალწარმოების შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია. უცნობია, თუ ქალების მიმართ ოჯახური ძალადობის რამდენი საქმე იქნა აღძრული და რა შედეგებით დასრულდა ისინი.

2006 წლის იანვარში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა ოჯახური ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნით შესაბამის სასამართლოებს თბილისში, მათ შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ასევე გენერალურ პროკურატურას, ქ. ქუთაისში მყოფ რეგიონალურ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებს. თბილისის საქალაქო სასამართლომ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ და გენერალურმა პროკურატურამ განაცხადეს, რომ ისინი ამ საკითხზე სტატისტიკურ ინფორმაციას არ ფლობდნენ და რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ოჯახურ ძალადობის, როგორც კონკრეტულ დანაშაულის, განმარტებას.

უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ 11 საქმე შეტანილი იყო დაბალი ინსტანციის სასამართლოებში. თერთმეტივე შემთხვევაში მსხვერპლი ქალი იყო. მათგან ექვს შემთხვევაში ქმარი ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა ყოფილ ცოლს; ერთ შემთხვევაში ქმარი ეწეოდა ძალადობას ცოლისა და ბავშვების მიმართ და ერთ შემთხვევაში მსხვერპლი სიდედრი იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტის ინფორმაციით, 47 სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული ოჯახური კონფლიქტების საკითხზე, საიდანაც ექვსი საქმე სასამართლოს გადაეცა და დანარჩენზე მიმდინარეობს გამოძიება. დეპარტამენტს არ მოუწოდებია ინფორმაცია საჩივრების ფორმაზე ან დამნაშავეთა და მსხვერპლთა ოჯახური ურთიერთობების შესახებ.

იმერეთის რეგიონის პროკურატურამ განაცხადა, რომ 2005 წელს პროკურატურაში შესული იყო 73 განცხადება, რომელიც ოჯახში ძალადობას შეეხებოდა. საჩივრებიდან 11 ეხებოდა განზრახ მკვლელობას და ამათვის ოთხ შემთხვევაში, ცნობისამებრ, პარტნიორებს მოკლული ჰყავდათ ცოლი ან საყვარელი. სხვა საქმეები ეხებოდა მკვლელობის მცდელობას, განზრახ სხეულის დაზიანებას, სქესობრივ ძალადობას და სხვადასხვა ნივთის გამოყენებით ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას. პროკურატურას არ მოუწოდებია არც ამ შემთხვევებში ინფორმაცია ოჯახური ურთიერთობების შესახებ.

ბაღდათის, ქუთაისის, წყალტუბოსა და ტყიბულის პროკურატურამ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას აცნობეს, თუ სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლი იქნა გამოყენებული 2005 წლის 1 იანვარსა და 2006 წლის 1 იანვარს შორის პერიოდში შემოსულ ოჯახური ძალადობის შემცველ 21 საჩივართან დაკავშირებით. სამწუხაროდ, პროკურატურას არ დაუკონკრეტებია დამნაშავეთა და მსხვერპლთა შორის ოჯახური ურთიერთობის დეტალები. დანაშაულები მოიცავდნენ განზრახ მკვლელობას, განზრახ სხეულის მძიმე დაზიანებას, განზრახ სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას, გაუფრთხილებლობით გამოწვეულ სხეულის მცირე დაზიანებას, ფიზიკური ძალადობის მუქარას, ასევე ნივთების განადგურებასა და ქონების დაზიანებას.<sup>48</sup>

### სამოქალაქო სამართალწარმოება

ხშირად, როდესაც ქალებს სურვილი აქვთ თავი დაადწონონ ძალადობრივ ურთიერთობას, ისინი სასამართლოს მიმართავენ არა მოძალადის დასჯის მიზნით, არამედ განქორწინების ან ქონებრივი უფლების დაცვის მოთხოვნით. არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრის თანამშრომლის, ალექსანდრე შოშიკელაშვილის განცხადებით, "ჩვენთან იურიდიული დახმარებისათვის მოსულ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა უფრო მეტად განქორწინების შემდეგ ქონებრივი უფლების დაცვასთან დაკავშირებულ კონსულტაციას ითხოვენ."<sup>49</sup> ხშირად სასამართლო პროცესი დიდხანს გრძელდება და განსაკუთრებით მაშინ, თუ ქალი ჯერ კიდევ პარტნიორთან ერთად ცხოვრობს, ძალადობის რისკი განსაკუთრებით მატულობს. კანონის თანახმად, სასამართლომ სარჩელის მიღების შემდეგ ორი

<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 108, 117, 118, 124, 151 და 187.

<sup>49</sup> 2006 წლის 29 მაისის ელექტრონული ფოსტით კორესპონდენცია.

თვის განმავლობაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება განქორწინების საქმესთან დაკავშირებით. პრაქტიკაში განქორწინების საქმეები ხშირად ბევრად მეტ დროს იკავებს.<sup>50</sup>

ლალი ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ქორწინებაში და ჰყავს ორი შვილი. ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ ქმარმა დაიწყო მისი ცემა, დაშინება და სქესობრივი ძალადობა. ცემის შედეგად, ლალის ხშირად ჰქონდა ჭრილობები და დაღურჯებები. როდესაც მისი ქალიშვილი ცდილობდა მის დაცვას, ქმარი შვილსაც სცემდა. ლალიმ რამდენიმეჯერ მიმართა პოლიციას, მაგრამ პოლიციის ჩარევამ მის ქმარზე არ იმოქმედა. 2003 წელს ლალი ქმარს გაცილდა და ბავშვებთან ერთად სხვა ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. მისი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, ისე რომ როდესაც ქმარმა განუცხადა, რომ ის შეიცვალა, ლალი მასთან დაბრუნდა. ლალის თქმით, ქმარმა მალევე ისევ დაიწყო ძალადობა. დღეისათვის მას ოჯახიდან წამოსვლა არ შეუძლია, რადგან ბინის დასაქირავებლად და ბავშვების სარჩენად საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია. ქმარი უარს ამბობს ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე, რათა თავიდან აიცილოს მისი გაყოფა ბინის გაყიდვის შემთხვევაში. წყვილმა ბინა ქორწინებაში ყოფნის პერიოდში შეიძინა. ლალიმ სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, რომ ქმარმა დაარეგისტრიროს ბინა და ის გაიყოს, ისე რომ მან და ბავშვებმა შეძლონ მოძალადე ქმრად-ყოფილისგან ცალკე ცხოვრება.

საერთაშორისო ამნისტია თვლის, რომ ნებისმიერი იურისდიქციის საქმეს (იქნება ეს ოჯახური საქმე, როგორცაა განქორწინება, საცხოვრებლის საკითხი, როგორცაა მოძალადე მამაკაცის სახლში დაბრუნების აკრძალვის ორდერი თუ თავდასხმასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის სარჩელი), რომელიც შეტანილი იქნება ოჯახური ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ქალის მიერ, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. სადაც კი დადგინდება ოჯახური ძალადობის შემთხვევა, სასამართლო საკითხს კომპლექსურად უნდა მიუდგეს და პრიორიტეტი მიანიჭოს რისკის ქვეშ მყოფი ქალის და მასზე დამოკიდებულ პირთა უსაფრთხო საცხოვრებლის უზრუნველყოფას. სასამართლოებმა, რომლებიც მუშაობენ ოჯახურ, საცხოვრებლისა და სისხლის სამართლის სარჩელებზე, ამ მიზნის მისაღწევად კოორდინირებულად უნდა იმოქმედონ.

დაცვის ზომები დროულად უნდა იქნას მიღებული და უნდა მოიცავდეს ქალებისათვის კონფიდენციალური რჩევის მიღების შესაძლებლობას პირადად ან ტელეფონით, ინფორმაციის მიღებას მათი სამოქალაქო და სისხლის სამართლის უფლებების შესახებ, ასევე სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების შესახებ. მომსახურების ამ სფეროების თანამშრომლები

<sup>50</sup> ელექტრონული ფოსტით კორესპონდენცია კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრიდან, ალექსანდრე შოშოკელაშვილთან. 2006 წლის 2 აგვისტო.

მომზადებულნი უნდა იყვნენ და უნდა ჰქონდეთ მჭიდრო კავშირი შესაბამის ორგანოებთან, მათ შორის პოლიციასთან, სოციალური, ჯანდაცვის და განსახლების ორგანოებთან. ისინი მიმართული უნდა იყვნენ ქალებისათვის სწრაფი და კომპლექსური დახმარების აღმოსაჩენად. ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას საჭიროების შემთხვევაში ქალებისათვის დაუყოვნებლად პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

### **პრობლემის გრძელვადიანი მოგვარების შესაძლებლობების უკმარობა**

თუმცა ბევრი ქალი მხოლოდ დროებით ტოვებს ძალადობრივ ურთიერთობას და ნათესავეებთან ან მეგობრებთან გადადის, მაგრამ სამუდამოდ კი არ წყვეტს თანაცხოვრებას მოძალადე პარტნიორთან. ხშირად ამას განსაზღვრავს რეალური გრძელვადიანი ალტერნატივის არარსებობა.

ქალები, რომლებსაც ცოტა ან არანაირი საკუთარი ფინანსური სახსრები არა გააჩნიათ, განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე, როდესაც ძალადობრივი ურთიერთობის შეწყვეტას მოისურვებენ. საქართველოში საყოველთაო ეკონომიური სიდუხჭირის გამო ამ დილემის წინაშე ბევრი ქალი დგას. საკუთარი შემოსავლის სიმწირის პირობებში, როცა საცხოვრებლის შესაძენად თანხები არ გააჩნიათ, მათ ხშირად წასასვლელი არსად აქვთ თუ მეგობრები ან ოჯახის წევრები ასეთი ქალების და მათი შვილების სამუდამოდ შესაფარებლად მზად არ არიან.

ხშირად სახლი ან ბინა, სადაც ოჯახი ცხოვრობს, ქმარს ან მის მშობლებს ეკუთვნის. თუმცა საქართველოში ქალები და მამაკაცები თანაბარნი არიან კანონის წინაშე საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებების მხრივ, სახლები და ბინები ტრადიციულად მამაკაც მემკვიდრეებზე გადადის.<sup>51</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საერთო ქონებად მხოლოდ ქორწინებისას შეძენილი ქონება ითვლება და განქორწინებისას უნდა გაიყოს.<sup>52</sup> ქორწინებამდე შეძენილი და მემკვიდრეობით ან საჩუქრად მიღებული ქონება მეუღლეთა ცალკე საკუთრებას წარმოადგენს.<sup>53</sup> შედეგად, განქორწინების შემთხვევაში, ქალები ხშირად ტოვებენ მეუღლის სახლს/ბინას. ბევრი ქართველი წყვილი მხოლოდ ეკლესიაში ქორწინდება და ოფიციალურად არ არეგისტრირებს თავიანთ

<sup>51</sup> ქეთევან დადუნაშვილი და სხვ., *ძალადობა ქალების მიმართ და ადექვატური საცხოვრებლის უფლება: საქართველოს შემთხვევა, 2003 წლის ოქტომბერი*. (ეს ანგარიში მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლის", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ბრიტანული ორგანიზაცია Oxfam-ის საქართველოს ოფისის მიერ. მოხსენება წარდგენილ იქნა ადექვატური საცხოვრებლის უფლების საკითხებში გაეროს განსაკუთრებულ საქმეთა მომხსენებლის მონაწილეობით გამართულ აზიისა და ოკეანის რეგიონალური კონსულტაციების დროს, ნიუ დელი, ინდოეთი).

<sup>52</sup> სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1158.

<sup>53</sup> სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1161.

ქორწინებას. ასეთ შემთხვევაში, წყვილის განქორწინებისას სამოქალაქო კოდექსის ზემოთ აღნიშნული პირობები მათზე არ ვრცელდება.

გაეროს განსაკუთრებულ საქმეთა მომხსენებელი ადეკვატური საცხოვრებლის საკითხებზე (რაც ცხოვრების ადეკვატური სტანტარტის უფლების შემადგენელ კომპონენტია და ამ კონტექსტში დისკრიმინაციის აღმოფხვრის უფლება), 2005 წლის თებერვალში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიშში, ქალები და ადეკვატური საცხოვრებელი, აცხადებს, რომ "ქალები, რომლებიც ოჯახური ძალადობის სიტუაციაში ცხოვრობენ, ძირითადად არაადეკვატურ საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან იმ ძალადობის გამო, რასაც სახლში ხვდებიან [ . . . ] ბევრი ქალი ძალადობრივი სიტუაციიდან ვერ გამოდის, რადგან ალტერნატიული საცხოვრებელი და ფინანსური მხარდაჭერა ხელმისაწვდომი არ არის. უსაფრთხო განსახლების უქონლობა ასევე ხელს უწყობს ქალების გადაწყვეტილებას, დარჩნენ ძალადობრივ ურთიერთობაში."<sup>54</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2006 წლის ანგარიშში იგივე საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ "ზოგიერთი ღრმად გამჯდარი კულტურული თეორიის მიხედვით, ქალმა უნდა "შიატოვოს" ძალადობრივი გარემო, და არა მოიცილოს მოძალადე პარტნიორი, რაც ხელს უშლის ქალების მიერ ადეკვატური საცხოვრებელი პირობების ქონის უფლების განხორციელებას."<sup>55</sup> მან მოუწოდა სახელმწიფოებს "უზრუნველყონ ქალებისათვის დროებითი, მათ საჭიროებათა შესატყვისი თავშესაფრის მიღება და გრძელვადიანობის პირობით ადეკვატური საცხოვრებლის შესაძლებლობის შენარჩუნება, რათა მათ არ მოუწიოთ ძალადობრივ გარემოში ცხოვრება რომ ჰქონდეთ ადეკვატური საცხოვრებელი პირობები." დამატებით, მან მოუწოდა სახელმწიფოებს "საცხოვრებელი პირობების შესახებ კანონმდებლობაში და მასთან დაკავშირებული სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში შეიტანონ ძალადობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი გარემოებები და უზრუნველყონ, რომ ოჯახური ძალადობის კანონებში შევიდეს მუხლები, რომლებიც დაიცავს ქალთა ადეკვატური საცხოვრებელი პირობების მიმართ ქონებრივ უფლებას."<sup>56</sup>

მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახური ძალადობის შესახებ კანონი ამბობს, რომ 2008 წლიდან დაარსდება დროებითი თავშესაფარები ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის, ცოტა რამ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს მიერ მიიღება ზომები თავის ვალდებულებების შესრულებისათვის, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფილ იქნას, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ უსაფრთხო და ადეკვატურ საცხოვრებელზე.

<sup>54</sup> გაეროს დოკუმენტები E/CN.4/2005/43, II თემატური კვლევის შედეგები, ა 43.

<sup>55</sup> გაეროს დოკუმენტები E/CN.4/2006/118, II თემატური კვლევის შედეგები, ბ 33.

<sup>56</sup> გაეროს დოკუმენტები E/CN.4/2006/118, III დასკვნები და რეკომენდაციები, 83 (დ) და (ე).

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენლებმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადეს 2006 წლის აპრილში, რომ მიუხედავად მათ განკარგულებაში მყოფ თავშესაფარში ადგილების რაოდენობის შეზღუდულობისა, და იმისა, რომ პრინციპში მათი თავშესაფარი დროებითი გამოსავალია და მაქსიმუმ სამ თვეზეა გათვლილი, ხშირად ამ დროს გაგრძელება ხდება საჭირო.<sup>57</sup> *“ჩვენ ქალს ქუჩაში ვერ ვუშვებთ, თუ სამი თვის შემდეგ წასასვლელი არსად აქვს. ამ დროს მას სტაბილური სამსახური სჭირდება, რათა საკუთარი თავისა და ბავშვების შენახვა შეძლოს და ბინა იქირაოს. ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ ქალებს, მაგრამ ეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელი საქმეა”,* - ამბობს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თანამშრომელი ნატო შავლაყაძე.<sup>58</sup> არასამთავრობო ორგანიზაციამ საერთაშორისო ამნისტიას 2006 წლის 27 ივლისს შეატყობინა, რომ მათ ჯგუფს ჯერ ხელისუფლებისაგან არ მიეღო არანაირი მხარდაჭერა, როდესაც ისინი ცდილობდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ეპოვნათ სამუშაო ან მუდმივი ხელმისაწვდომი საცხოვრებელი.

იმისათვის, რომ შეიქმნას გრძელვადიანი გამოსავალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის და სახელმწიფომ შეასრულოს აღებული ვალდებულებები ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, მათ შორის გენდერულ საფუძველზე აღმოცენებული ოჯახური ძალადობის სახით, საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების პროფესიული გადამზადება, დაეხმაროს მათ სამუშაოს მოძიებაში, რათა ამ ქალებმა მიაღწიონ ეკონომიურ დამოუკიდებლობას მათი (ყოფილი) ქმრებისაგან. ასევე ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მათთვის ადეკვატური და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები.

<sup>57</sup> ოჯახური ძალადობის შესახებ კანონის მე-18 მუხლი ამბობს, რომ თავშესაფარში დარჩენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს. მსხვერპლისა და შესაბამისი თავშესაფრის სურვილის მიხედვით, ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს. კანონის თანახმად, *“თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უარუნველსაყოფად.”* დამატებითი ცნობები იმის თაობაზე, თუ რა სახის რეაგირება არის მოსალოდნელი და რისი უფლება აქვთ სამართალდამცავ ორგანოებს, დაკონკრეტებული არ არის.

<sup>58</sup> საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ. თბილისი, 2006 წლის 13 აპრილი.

## რეკომენდაციები

საქართველოში ქალების მიმართ ოჯახურ ძალადობის წინააღმდეგ სათანადო წარმატების მისაღწევად, საერთაშორისო ამნისტია საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს:

- დაეყრდნოს 2006 წლის მაისის “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მიღებით გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს და ოჯახური ძალადობის მოსპობა და საქართველოს მიერ ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის გაეროს კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულება სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციოს.
- შეაგროვოს სანდო და ზუსტი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ასახავს მსხვერპლისა და დამნაშავეს სქესსა და ოჯახურ კავშირს - რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით არსებულ ქალთა წინააღმდეგ განხორციელებულ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ საჩივრებს, გამოძიებისა და სამართალწარმოების მასალებს, და გახადოს სტატისტიკური მონაცემები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.
- უზრუნველყოს ყოველ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში ოჯახური ძალადობის საკითხზე საკონტაქტო პირის დანიშვნა, და ასევე უზრუნველყოს ეფექტური უწყებათაშორისო ორგანოს შექმნა, რომელიც კოორდინაციას და ფასილიტაციას გაუწევს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ სამართლებრივი აქტების და სახელმწიფო პროგრამების წარმატებულ შესრულებას.
- შექმნას ოჯახური ძალადობის საკითხებში ქმედითი უწყებათაშორისი ურთიერთმიმართვების სისტემა, რომელიც შექმნის მჭიდრო კავშირს ისეთ დაწესებულებებს შორის, როგორებიცაა სამედიცინო დაწესებულებები, იურიდიული დახმარების ცენტრები, კრიზის-ცენტრები, თავშესაფრები და პოლიცია.
- ითანამშრომლოს და საჯაროდ დაუჭიროს მხარი ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამოიყენოს მათი ცოდნა და გამოცდილება ქალების მიმართ ძალადობისა და მსხვერპლთა დაცვის ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და შესრულებისას. მჭიდროდ ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საქართველოს სინამდვილეში მათი განხორციელების სტრატეგიების შემუშავებისას.

- მოიწვიოს და ხელშეწყობა გაუწიოს გაეროს ქალების მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომსახურების ვიზიტს საქართველოში, არსებული სამუშაო შეთანხმების გათვალისწინებით.
- უზრუნველყოს საკმარისი ინფორმაცია და საკავშირო წერტები ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ თავიანთი შემთხვევების განსაცხადებლად შესაძლების შესაქმნელად, რაც მოიცავს ცხელი ხაზების შექმნას ქვეყნის მასშტაბით, რომელთაც მოემსახურება მომზადებული კადრები, მათ შორის იურისტები და ფსიქოლოგები; დაიბეჭდოს ბროშურები და პლაკატები, და გავრცელდეს საავადმყოფოებში, პირველადი ჯანდაცვის პუნქტებში და სასამართლოებში; შეიქმნას შესაბამისი ვებ გვერდები ინტერნეტზე.
- დროულად გამოყოს სახელმწიფო დაფინანსება ან აქტიურად მოიძებნოს დონორები, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი თავშესაფრების დაარსება ქვეყნის მასშტაბით, რაშიც საჭიროა თანამშრომლობა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთაც გააჩნიათ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებისთვის დახმარების აღმოჩენის სათანადო გამოცდილება.
- უზრუნველყოს ქალების მიმართ ოჯახურ ძალადობაში დამნაშავეთა სარეაბილიტაციო პროგრამის ფოკუსირება არა მხოლოდ პროფესიულ გადამზადებაზე, არამედ ასევე კონფლიქტის არა-ძალადობრივად მოგვარების, კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე და ქალთა ადამიანის უფლებებზე.
- შექმნას სამართალდამცავი ორგანოების ქცევის კოდექსი, რომელშიც აისახება ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობის სფეროში არსებული საუკეთესო გამოცდილება.
- უზრუნველყოს მოძალადე მამაკაცების ასალაგმავად შემაკავებელი და დამცველი ორდერების გაცემის საკანონმდებლო ნორმების განხორციელება, ასევე ჯარიმებისა და სხვა კრიმინალური სანქციების აღსრულება.
- უზრუნველყოს პოლიციის თანამშრომლების, პროკურორებისა და მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგი, მიმართული საზოგადოებაში ქალების ძალადობისაგან დასაცავად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” კანონით გათვალისწინებულ დამცველი და შემაკავებელი ორდერების გაცემის, აღსრულების ზედამხედველობის, და მოვლენათა შემდგომი თვალის გადევნების ამსახველი სახელმძღვანელო წესების ჩამოყალიბებას.



- უზრუნველყოს ექიმების, ექთნების, მეანების, სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტებისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტების ტრენინგი ოჯახური ძალადობის იდენტიფიკაციასა და მასზე რეაგირებაში.
- უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის შემცველი სამედიცინო ჩანაწერების კონფიდენციალურობა.
- უზრუნველყოს, რომ პროკურორებმა და მოსამართლეებმა პრიორიტეტი მიანიჭონ საქმეებს, რომლებშიც ქალები არიან ოჯახური ძალადობის საფრთხის ქვეშ – იქნება ეს ოჯახური საქმე, საცხოვრებლის საკითხი თუ სისხლის სამართლის სარჩელი - და რომ მათ დროულად მიიღონ ზომები ამ ქალების უსაფრთხოების მისაღწევად. დაცვის ზომები უნდა მოიცავდნენ ქალებისათვის კონფიდენციალური საკონსულტაციო მომსახურების სწრაფ ხელმისაწვდომობას, საიდანაც მათ შეეძლებათ მიიღონ სათანადო ინფორმაცია თავიანთი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების, ასევე სოციალური და ჯანდაცვის სფეროებში არსებული პროგრამების შესახებ.
- უზრუნველყოფილ იქნას ქალების მიერ ქმრის, თანამაცხოვრებლის ან სხვა ინტიმური პარტნიორის მიმართ საჩივრის შემთხვევების დროული, მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიება და საკმარისი დასაშვები მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში ეჭვმიტანილების სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარდგომა. ასეთ შემთხვევებში, მომჩივანი, მოწმეები და სხვა რისკის ქვეშ მყოფი პირები ყოველთვის დაიცულნი უნდა იყონ დაშინებისა და შურისძიებისაგან.
- აღსრულდეს კანონმდებლობა, რომელიც იცავს ქალებს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის დანაშაულის ისეთივე სერიოზულობით განხილვას, როგორც სხვა სახის ძალადობა, ხოლო გაუპატიურება და ქალების მიმართ სხვა სახის ძალადობა აღიარებულ იქნას სისხლის სამართლის დანაშაულად ყოველგვარ კონტექსტში.
- ყველა საქმეში, სადაც დადასტურებულია ოჯახური ძალადობა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ვალდებულება პირველ რიგში დაეკისროს სახელმწიფოს და არა ოჯახური ძალადობის მსხვერპლს. სახელმწიფოს ამგვარი ვალდებულება ეხება სისხლის სამართლის კოდექსის ყველა მუხლს, რომელიც კი შეიძლება იყოს გამოყენებული ოჯახური ძალადობის შემთხვევებში, მათ შორის განზრახ სხეულის მცირე დაზიანებას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 120), ცემას (მუხლი 125), გაუპატიურებას (მუხლი 137, ნაწილი 1) და იძულებით სქესობრივი კავშირს და სხვა სქესობრივი აქტს (მუხლი 139, ნაწილი 1).

- უზრუნველყოფილ იქნას ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ყველა სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა შესაბამისი ექსპერტების მიერ – რაც მოიცავს სოციალურ მუშაკებსა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებს, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობენ. ასეთ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს, სხვათა შორის – ადრე მომხდარი ოჯახური ძალადობის შემთხვევის მტკიცებულება და ძალადობის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ შედეგთან დაკავშირებული მტკიცებულება.
- უზრუნველყოს, რომ ისეთი საქმეების გამოძიებისას და სამართალწარმოებისას, სადაც ქალები ბრალდებულნი არიან პარტნიორის ან მეუღლის მკვლელობაში ან განზრახ მკვლელობაში და სადაც ეჭვი არსებობს ოჯახური ძალადობის ისტორიისა, სასამართლოში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი მტკიცებულება განსვენებულ პირსა და მოპასუხეს შორის ურთიერთობის თაობაზე, მათ შორის, ექპერტთა დასკვნები, ზემოთ აღნიშნულისამებრ; ასეთი მტკიცებულება განხილულ იქნას სასამართლოს მიერ, როგორც შესაძლო თავდაცვის შემთხვევა, ან როგორც შესაძლო შემამსუბუქებელი გარემოება განაჩენის გამოტანისას.
- უზრუნველყოს, რომ ოჯახური ძალადობის ყველა მსხვერპლ ქალს მიუწვდებოდეს ხელი რეპარაციაზე, მათ შორის კომპენსაციასა და ფსიქო-სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციაზე.
- უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის პროფესიული გადამზადების შესაძლებლობა და დაეხმაროს მათ სამსახურის მოძიებაში, რათა მათ მიაღწიონ ეკონომიურ დამოუკიდებლობას თავიანთი (ყოფილი) ქმრებისაგან; ასევე უზრუნველყოს მათთვის ადეკვატური და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები.
- ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერების დონე ქვეყნის მასშტაბით მედიის გამოყენებით და სკოლებში სწავლის პროცესში, განიმარტოს, რომ გენდერული ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა იმის მიუხედავად, ჩადენილია ის სახელმწიფო მოხელის თუ კერძო პირის მიერ.
- ამაღლდეს საზოგადოების გაცნობიერება იმ კონსტრუქციული ნაბიჯების მიმართ, რომელსაც სახელმწიფო გადადგამს ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლისას და საჯაროდ, ყოველი შესაძლებლობისთანავე, გაცხადდეს ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების მტკიცე ნება.

- მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია კონვენციის არჩევითი პროტოკოლის შესახებ, რომელსაც საქართველო 2002 წელს მიუერთდა და რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს დამოუკიდებლად და ჯგუფურად სარჩელით თავიანთ ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით პირდაპირ მიმართონ ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის გაეროს კომიტეტს (CEDAW).